

იანვარი
1932 წ.
№ 73

დემოკრატიული საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JANVIER
1932—№ 73

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეოთხეტი—193; წ. ჩვენში.
მგზავნი—წერილი საქართველოდან.
დ. შ.—სასოფლო მეურნეობის დაქცევა.
ხ. ციხეცხალავა—ერთი საშუალებათაგანი.
B. Mayeras—საქართველო და საფრანკეთი.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.
უცხოეთის მიმოხილვა.
კახაბედი—დიდი დემონსტრაცია.
დასწრე—წერილი ვარშავიდან.
ქართველები გერმანიაში და სხვ.

1931 წ. ჩ ვ ე ბ ი

1931 წელი პარტიზანობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა ჩვენში. მოთმინებიდან გამოსული, განადგურებული, აწიოკებული ჩვენი გლეხობა იღებს რაც ხელში ხვდება და ეყვეთება მტერს ხან იქ, ხან აქ, მთაში, ბარად. ზღვის პირად და შურს იძიებს მასზე. ნუ ეძებთ ამ მიხდომებში რაიმე გეგმას, ტაქტიკას, ნურც ორგანიზატორულ ხელს ან დირექტივებს; საქმე გვაქვს სტიქიურ მოვლენასთან, რომელიც აბნელებს ნათელ აზროვნებას და ყველაფერი ინსტიქტურად მიხდობილი.

ჩვენი გაზენი აწვდის მკითხველს საკმაო მასალას აღნიშნულ ამბებზე, ასე რომ ჩვენ არ გვეჭირია მათი ჩამოთვლა. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ გამომწვევი იყო და არის კოლექტივიზაცია. ან უკეთ—საყოველთაო ცარცვა, რომელსაც დღის სინათლეზე ეწევა საოკუპაციო ხელისუფლება «სოციალიზმის» სახელით.

სამი წელიწადია, რაც ამ დანაშაულს სჩადის ის შეგნებულათ და გამკითხავი არავინა ჰყავს, გარდა თვით დაინტერესებულ გლეხობისა. დასაწყისში უკანასკნელი სომხეთსა და აზერბეიჯანში ამოძრავდა, ქართველი გლეხობა მხოლოდ საზღვრებთან აყვა მათ. გასულ წელს კი თითქო არ დარჩენილა არც ერთი ქართული პროვინცია, სადაც დიდ თუ პატარა გამოსვლებს არ ჰქონდეს ადგილი.

საგულისხმეოა, რომ თაოსნობა მოძრაობაში, უკანასკნელი ცნობებით, ქალებს აუღიათ. შეიარაღებულნი კეტებით ისინი ასობით დაძრვოდენ მინდვრებში, ხსნიდენ უღლიდან ხარებს და მამაკაცებს შინ ერეკებოდენ. შეტაკებანიც კი ჰქონიათ მათ შეიარაღებულ ძალებთან, ორი ქალი კიდევ მოუკლავთ. ასამდე მეთაური ურალისკენ გადაუსახლებიათ. რა

ზომამდე უნდა მიედწია გლეხობის გამწარებას, რომ ქალებს ეს უჩვეულო როლი ეკისრნათ!


კიდევ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი. სამეგრელოს გლეხებში ვრცელდება ხმა, ვითომ უცხო გემები დესანტის გადმოსხმას აპირებდენ მათ საშველათ. და ისინიც მიიმართებიან ზღვის პირისკენ, იკავებენ ანაკლიას და რამდენსამე დღეს დესანტის მოლოდინში არიან! ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათ არ იციან, რა ხდება ქვეყნიერებაზედ, წარმოდგენაც კი არა აქვთ მტრის ძალებზე, აკლიათ ხელმძღვანელობა.

ეტყობა, არალეგალური ეროვნული ორგანიზაციების გარეშე ხდება მთელი ეს მოძრაობა, ან უკეთ—ისინი ვერ წვდებიან მას, ვერ აყენებენ თავის გავლენის ქვეშ. ეს არც გასაკვირველია, რადგან ქალაქი ჩამოშორებულია სოფელს, არ იღებს მონაწილეობას მის გამოსვლებში, და ამ პირობებში შეუძლებელია პოლიტიკური წინდახედულობა, მიზნისა და საშუალების შერჩევა.

მსხვერპლი კი ამით არ კლებულობს, მატულობს. ასობით დახვრეტილნი, გადასახლებულნი, ათასობით საპყრობილებებში და ბნელ სარდაფებში.

ჩვენ არ ვიცით, რა დარჩა კიდევ მტერს, რომ დაასრულოს ქვეყნის დაქცევა: სოფელი აოხრებულნი, გლეხობა აყრილი, გატყავებული, ყმად ქცეული, სასოწარკვეთილი. რა გამოსავალი ჰპოვოს მან, თუ არა ტყვედ გაქრა. პარტიზანობა? მაშ იგივე რეპრესიები, სანამ ფიზიკურათ არ მოისპობა... ნამდვილი მოჯადოებელი წრე ამასა ჰქვია!

მართალია, არც ხელისუფლებისთვის ჩაუვლია დაუხჯელათ ჩვენი გლეხების გამოსვლებს, დაახვეი-



ნეს კიდევ, ადგილობრივი მართველნი დარეკეს მოსკოვის ბრძანებით და ესლა არც მალავენ, რომ კოლექტივიზაცია მარცხდება საქართველოში და გლეხთა დიდი უმრავლესობა მის გარეთაა. საუბედუროთ, ცოტაა სანუგეშო ამში, რადგან დანგრეული სასოფლო მეურნეობა დიდ ხანს ვერ გამობრუნდება და ხელისუფლება ხომ, როგორც ვუშინ, ისე სვალაც გააგრძელებს იმავე რბევას და ერის დაუძლურებას.

ეს ხდება იმ დროს, როცა კრემლის მესვეურნი ნამდვილ ჩიხში არიან მიმწყვდეულნი და ამოთ ეძებენ გამოსავალს. საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსური კრიზისი, მიუხედავთ მათი პრესის ლაზღანდრობისა-თითქოს ეს იყო მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი, უსპობს მათ საშუალებას აშენონ «პირამიდები» ხალხის დასაბრმავებლათ. ვინ არ იცის, რომ გიჟური ხუთწლელი დიდ ნაწილად სრულდება და უცხოეთის ნივთიერი და ტექნიკური თანამშრომლობით. დღეს კი უცხოეთი, სახელდობრ: გერმანია, ინგლისი, ამერიკა თვით განიცდიან არაჩვეულებრივ კრიზისს და, სურვილიც რომ ჰქონდესთ, არ შეუძლიათ იგივე როლი ითამაშონ საბჭოთა მეურნეობაში.

ამით აიხსნება, პირველ რიგზე, მოსკოვის მობრუნება საფრანგეთისკენ, რომელთანაც მას სურს თავდაუსხმელობის პაქტი შეკრას. ნამდვილათ კი თვალეზი მის ბაჯალოდ ოქროზე აქვს დაშტურებული. ტყუილი იმედია, არავინაა შემოილილი საფრანგეთში, რომ ძველი ვალების უარმყოფელს ახალი სესხები გაუხსნან. საქმე გაუარესებულიცაა მოსკოვისთვის, რადგან საფრანგეთმა ხელი მოუწერა რუმინიას, რომ მისგან იყიდის ნავთს თავის ფლოტისთვის და ამიტომ საბჭოთა ექსპორტი საფრანგეთში იმავე საქონლისა ძალზე დაიწვეს, თუ მთლათ არ მოისპო.

მეორეს მხრით, იაპონიის შეკრა მანჯურიაში დიდ ხიფათში აგდება საბჭოთა მფლობელობას შორეულ აღმოსავლეთში. გვანხნდება ნიკო ნიკოლაძის სიტყვები: საბჭოთა ნგრევა შორეულ აღმოსავლეთიდან დაიწყება. ამასვე გრძნობენ კავშირის რუსი და არარუსი ერები, როცა ასე აღვწნებით ნატრობენ, ყოველ მხრიდან მოსულ ცნობების თანხმათ, მოსკოვის ჩათრევას ომში იაპონიასთან!

სტალინი სწორეთ ამას გაურბის, მიუხედავთ წითელარმიის «ძღვევამოსილობისა», და თავდაუსხმელობის პაქტის წინადადებით მიმართავს მიკადოს მთავრობას. უკანასკნელი იღიშება, რა თავდაუსხმელობა, როცა ჩემი ჯარები მანჯურიაშიაო, ე. ი. თავდასხმა უკვე მოხდა, ხოლო მოსკოვი ემუდარება წინ ნუ წაიწვეიო! კავშირში რომ საზოგადო აზრს რამე ძალა ჰქონდეს, ხუთმეტჯერ გადაატრიალებდა ასეთ მხდალ და მოღალატე მთავრობას.

ესეც მოხდება ადრე თუ გვიან, არ შეიძლება არ მოხდეს. განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია, მოსალოდნელია, მესამე გამოსავალი წერტილი გახდეს ამისათვის. მოსკოვი იძულებული გახდება ყენევაში თავისი დემავგოვია სრულ განიარაღებაზე გამოაფინოს. მის სიტყვას არავინ ენდობა, ხოლო

საქმით ის. რასაკვირველია, წინააღუდეგა საერთაშორისო კონტროლს. იქვე გამომქლავნდება მისი ბლოკიზოგიერთ სახელმწიფოსთან, რაიცა აიძულებს დანარჩენ სახელმწიფოებს შეთანხმებულათ გამოვიდნ მოსკოვის წინააღდეგ.

ჩვენ მხოლოდ ვაკვირთ შევეხეთ მოსკოვის მტკივან ადგილებს, რომელიც აჩქარებს პოლიტიკურ კრიზისს—ეკონომიური ხომ არის და არის—, მაგრამ თქმულიც საქმარისია ერთი მარტივი დებულების დასასაბუთებლათ: ჩვენმა ერმა, მისმა უმრავლესობამ—გლეხობამ, უნდა შეინახოს თავისი ძალები ვადამწყვეტი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ის, რაც ხდება დღეს—პარტიზანობა, რა თქმა უნდა, მტრის შემწარავ პოლიტიკის შედეგია. პასუხისმგებელი მხოლოდ ის არის და ხალხის რისხვაც მას დაატყდება თავზე. მაგრამ დღეს-დღეობით, სანამ საშინაო თუ საგარეო გართულებანი არ დაწყებულან, სანამ სხვა ერნი არ ამოძრავებულან, მიზანშეუწონელია და დამლუპველი ჩვენი ერის ცეცხლში გადავარდნა, შებმა ასჯერ უფრო ძლიერ მტერთან. მერმე როგორ მტერთან? რომელიც უთანასწოროა სიმხეცეში.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს აზრი ოდნავ მაინც განსხვავდებოდეს ადგილობრივ მომუშავე ეროვნული ორგანიზაციების აზრისგან. არა ერთხელ გვქონებია შემთხვევა აქვე გვემოწმა თვითონ ისინი.

მდგომარეობა მძიმეა, ვერაგმა მტერმა შესძლო ქალაქი ჩამოეშორებია სოფლისაგან, გლეხი მუშისაგან, ერი გაეხლიჩა ორად. ასეთ მოვლენას ჩვენ ვხედავთ შიდა რუსეთში, ამაშია რუსის ერის ტრადედია. ჩვენი ერი ამ მხრივ თითქო დაზღვეული იყო, ამაში იყო მისი ძალა, მორალი, რას ვხედავთ დღეს?

ნუ დავივიწყებთ, ერის მთლიანობის დარღვევა მოასწავებს მისი იდეალის შესუსტებას, ბრძოლის დაქუცმაცებას, ეკონომიზმის გაბატონებას და პოლიტიკურ მიზნის დაჩრდილვას. რუსებს ის მაინც აქვთ გასამართლებელი, რომ მათ არ სდევნიან ეროვნულათ, ქართველებს კი?

ჩვენ ვებრძვით არა მარტო რეჟიმს, არამედ უცხოელის ბატონობასაც ჩვენში, უკანასკნელი სათავეა ჩვენი უბედურების. შეიძლება გლეხი ვერ ხედავდეს ამას, ყოველდღიური ჭირ ვარამი გადაეფაროს თვალეზზე, მაგრამ სწორეთ ამაშია ქალაქის როლი, ეროვნულ ორგანიზაციების მოვალეობა, რომ დაანახვონ გლეხს სინამდვილე, ჩააბან საერთო ფერხულში, ამაშია თვით მისი სხნაც.

ჩვენ ვუსურვებთ, ამ ახალ წლის დამდეგს, საქართველოში მოქმედ ეროვნულ ძალებს მეტ ენერგიას, მეტ გამკრიახობას, მეტ თავდადებას, რათა ხელში აიღონ მოძრაობა. უპოვონ გლეხობის გული-სტუმას დროისა და ადგილის შესაფერი, რაც შეიძლება ნაკლებ სახიანო გამოსავალი, დაუბრუნონ ჩვენს ერს ადრინდელი მთლიანობა, გადააბან იგი მეზობელ ერებთან და ასე ამ რიგათ შექმნან აუცილებელი პირობები უკანასკნელ განმათავისუფლებელ ბრძოლის მისაცემათ.



წერილი საქართველოდან

6. მიგვამარტობა მუშა-მცხამსახურისა.

ძველი მუშა კლასიურად დახვეწილია, საწარმოზე ვერ ნახავთ (იშვითად). მათი ადგილი უკავიათ გადმოხვეწილებს. ტარდებდა ხელოვნურად პროლეტარიზაცია.

სტამბის მუშის (ასოთ ამწყობის) ნორმას შეადგენდა 7000 ანბანის აწყობა და ხელფასი უდრიდა 150 მანეთს. სოც. შეჯიბრით და დამკვერელობის წესით შეაჯიბრეს მუშები ერთმანეთს, პრემიებისა და ორმაგი ხელფასის დაპირებით. ამ რიგათ მუშამ გაასწორა დღე და ღამე და ნორმას 7000 გადააჭარბა და ააწყო 14.000 მღე, რის შემდეგ ეს დაკანონდა კიდევ დამკვერელი ბრიგადების საშვალებით. ბრიგადები შეადგინეს არა სპეციალისტებისაგან, გადმოხვეწილი სომხებისაგან, რომლებიც არიან განგებ შეჩხირულნი. ამ დაკანონებამდე მართლაც აძლევდნენ მუშებს ზედმეტს ნატურით და ფულთადაც, დღეს კი ყველგან შეადგინეს დამკვერელი ბრიგადები «სოც. მშენებლობის» ლოზუნგით და ყველა მუშა და მოხელე იძულებულია შევიდეს დამკვერელ ბრიგადაში, როგორც აქტივი და ვალდებულია, როგორც «ბრიგადირმა» იმუშავოს დროის განუსაზღვრელად და ხელფასი კი შეუმცირეს 90-100 მანეთამდე. თუ მუშამ გაბედა რაიმე უკმაყოფილების გამოთქმა, 3 წლის გადასახლებით დაემუქრებიან, და თუ მოინდომა სამსუხირადან გასვლა, მას ეძლევა «მგლის ბილეთი», როგორც მავნებელს, ერთმევა ყველა შეღავათიანი უფლება, ბოლოს მოელის აუწერელი გაჭივრება. მიუხედავად მუშის ასეთი ექსპლუატაციისა, სტალინიმა გასულ ზაფხულის კონფერენციანე, გააკეთა მოხსენება შესახებ იმისა, რომ მუშის მდგომარეობა გაუმჯობესებულია 150 პროცენტით, რის დამტკიცება და განმარტება ციფრებით დაავალა ეკონომისტებს. უკანასკნელი შეეცადნენ ბრძანების შესრულებას, მაგრამ წინამდებელი გამოუვიდათ. ამას მოყვა ცნობილი ეკონომისტების დაპატიმრება. ასეთი რეპრესიებით დაშინებულმა ზოგიერთმა მკვლევარმა ბევრი ცდის შემდეგ ასეთი გამოსავალი გამოიხატა: მუშის ხელფას მიუმატეს შემდეგი ხარჯები: 1) სახალხო განათლების. 2) კულტ-მუშაობის. 3) პროფ-კავშირების. 4) სოც. დაზღვევის. 5) კომუნალური. 6) ბინათ აღმშენებლობა და სხვა, რის შემდეგ სტალინის ნაჩვენები 185 პროც. გამართლდა. სინამდვილეში კი მუშა მოსამსახურე იხდის თავის ხელფასიდან შემდეგს: მაგ. სპეცი, რომელიც ლებულობს 350 მანეთს, იხდის: 1. საშემოსავლო გადასახადს 204 მან. 2. ბრუნვის 32 მან. 3. ობლიგაციების 350 მან. 4. კულტ-მუშაობის 76 მან. 5. ბინათ მშენებლობის 49 მან. 6. კავშირის—84 მან. 7. საშეფო—2 მ. 8. ავტოდარის—1 მან. 9. ოსო-ავიაქიმის—3 მან. 10. რემედასი—2 მან. 11. წითელი ჯვრის—2 მან. და ამას მიუმატეთ ბინის ქირა, წყლის, სანიტარული, სახლ-ვრის მცველი რაზმის, მოტორიზაციის (ახალია), შაუმიანის სახელობის გემის და კოლპერატივის, დაახლოებით 60 მან. კიდევ.

მუშას, რომელიც ლებულობს 48 მანეთს, თვეში 14-16 მანეთი გადასახადი უწევს. ხელფასს მუშა-მოსამსახურენი ლებულობენ ორ თვეში ერთხელ. ეს ყველა დაწესებულებებში ხდება, გარდა გ. პ. უ-ს, სახალხო კომისართა საბჭოსი, ცეკა-ტეკასი და ნარკომებისა. სურსათ-სანჯავის პირველ მოთხოვნების საგნების კრიზისის გამო შემოიღეს დახურული მაღაზიები და სასადილოები, უზრუნველსაყოფად მოსკოვის ჩინოვნიკებისა. უცხოელებისათვის გახსნეს ცალკე მაღაზიები, სადაც ყველაფერი იშოვება, და იქვაჭრობა სწარმოებს მხოლოდ ვალიუტაზე (ეს არის წყარი ვალიუტის ამოსაქაჩი).

მუშებისათვის, ხომ ეს ყოველივე მიუწოდებელია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილ სავაჭროებისა გააღეს ყიდველად უვარგისი საქონელი მაღალ ფასებში. ეს არის ერკოპის ნაშთი-ერკოპმა წააგო 13 მილიონი მან. და მიხურა დარაბა. ესეც მიუწოდებელია მუშისათვის, რადგანაც საკომერციო მაღაზიებშიც შაქარი ღირს კილო 24 მან. და კარაქი გირვანქა 8 მან. რომელთანთან უნდა შეიძინოს ეს მუშამ, რომელიც ლებულობს 48 მან.—16=32 მან. და იმასაც ორ თვეში ერთხელ.

რაც შეეხება სათბობ მასალას, სრულებით არ მოპოვება, მუშა-მოსამსახურენი პანიკით არიან მოცული. გამოუცხადეს, ნუ იქნებიან დიდი იმედითა. მუშა ყიდის უკანასკნელს, რომ ააცდინოს ზამთრის სიცხეს ცალწვილი. მაგრამ შეშასაც ვერ პოულობს და თუ შეხვდა, ურემში უნდა მისცეს 120, 140 მან. და ისიც თუ ბედმა გაუღიმა, როგორმე ჩამოიტანა გლენმა ერთი ან ორი ურემი, რადგან არც გლენს აქვს შეშის მოჭრის და ჩამოტანის უფლება: მონათლავენ ვაჭრად და ჩარიცხავენ «კულაკთა» სიანი. და თუ მაინც მოახერხა და ჩამოიტანა გლენმა შეშა, ფულს არ ლებულობს, უნდა მისცეთ ფართალი ან გამონაცვლი და ეს იმ დროს, როდესაც ქალაქი თვით ეძებს გამონაცვალს.

რაც შეეხება ბაქოს ნავთს, მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლიანი შესრულდა «ორ-წელში», ასეთი ამბები ხდება: საქართველოში 3 კვირის განმავლობაში ნავთი არ იყო. რაც გამოდის ნავთი, თითქმის ყერ აკმაყოფილებს სიექსპორტო რაოდენობას. ნავთიც ნორმით რიგდება. 1 ფუთზე მეტს ვერ მიიღებთ ოთხი თვის განმავლობაში. 29-30 აგვისტოს ნიკოლოზის ქუჩაზე, ღამის 3 საათიდან იდგა რიგში—300 კაცი და ქალი, დიდი და პატარა და იყო სრულებით უშიშრათ ლანძღვა-გინება დიქტატურის. რიგში ბევრი კომუნისტის ოჯახიდანაც იყო და ეს მოდა ყველაფერი, მაგრამ პასუხის გაცემას ვინ გაბედავდა. ამგვარ მოვლენებს ქონდა ადგილი თითქმის ყველა უბნებში.

თბილისში გაშენებულია მთელი ხნის განმავლობაში 14 სახლი, სახელწოდებით მუშური და ამაზე, როგორც მიღწევაზე წიგნიც კი დაბეჭდეს. მაგრამ ეს მხოლოდ სახელია მუშის და შიგ მოზინადრე კი კომუნისტებია მოხელეები, ისიც უმეტესად რუსობა და სომხები, სრულებით უცხოები თბილისისათვის.

7. სწავლის საქმე.

სწავლა იწყება ლენინიზმით და მთავრდება სტალინიზმით. ფაკულტეტების მდგომარეობა წააგავს მოხეტიალე მოლდავანებისას (ფაკულტეტები ნაცვლად ინსტიტუტებია). დღეს გადაწყდება, რომელიმე ინსტიტუტი იქნას გადატანილი სხვაგან. რამდენიმე თვეა ამაზე განგაში, მთელი მოწაფეობა გამცდარია და ისედაც აწეწილი სწავლა მთლიანათ აიწეწა უთავბოლოთ. ამ წელს მოსკოვის განკარგულებით ტექნოლოგიური ინსტიტუტი გადატანილი უნდა იქნას სომხეთში, ჩაის და აბრეშუმის კულტურის—ოზურგეთში, სამეურნეო—მუხრანში. ამის მიზეზი მასწავლებელთა კადრის კრიზისია და თუ რომელიმე კომსომოლს დაუმთავრებია ორი-სამი წლის უკან უნივერსიტეტი, მას აბარებენ კათედრას და ის ხდება «პროფესორათ». ფაკულტეტებში შემოღებულია დაკვირვითი წესის სწავლა—წლიური 3 წლიდში. დაკვირვითი წესით სწავლა მიმდინარეობს მასწავლებლების ხარჯზე, შემდგარია ცალ-ცალკე ჯგუფი და პროფესორებმა უნდა მოასწონ მათთან თეორიაც და პრაქტიკაც. ამის გამო დღევანდელი უმაღლესი სასწავლებელი არ უდრის წინა დროის წამხდარ საშუალო სასწავლებელს. მოწაფეს 7 წლიდ დამთავრებულს თუ უნდა მოხედეს ტექნიკუმში, უნდა იმუშავეს შავი სამუშაო არა ნაკლებ ორი წლისა და ტექნიკუმიდან უნივერსიტეტში გადასვლისას კიდევ ამდენივე, ამას უძახიან მუშის სტაჟს. ახალგაზდები 4 წლის განმავლობაში მუშაობენ სახლის მეკეთებაზე, ზიდავენ ავუსს, კის და მიწას ანდა ათხრევიანებენ ვაკეზე მიწას და აკსებიანებენ უსწორო ადგილებს. რაც შეეხება უნივერსიტეტ დამთავრებულებს—დამკვრევლობითი წესმა მიადწია იქამდის, რომ გამოუშვეს სრულებით მოუშუადებელი აგრონომები, რომლებიც დაგზავნეს მაზრებში სამუშაოდ. იყო შემთხვევა ერთ-ერთ მაზრაში: ახალგაზდა აგრონომმა ნაცვლად მავნებლების მოწამლისა, მოწამლა რამოდენიმე მიწა. მეორე შემთხვევა: აგრონომს უნდა გაეტარებია სათვისლე მარცვალი სათანადო ხსნარში, მაგრამ პროპორცია ვერ დაიცვა და მოსწამლა 14 ვაგონი ხორბალი.

მეცნიერულ შრომაზე ზედმეტია ლაპარაკი. მეცნიერი, რომელიც მუშაობს რაიმე გამოკვლევაზე 6-8 თვის განმავლობაში და უშვებს სახელმძღვანელოს, მას ეძლევა 1000—1500 მანეთამდე და წიგნი კი იყიდება 7 მანეთად 2000 ტირაჟი, ასე რომ მეცნიერი ღებულობს თავის შრომაში ინდენს, რამდენსაც უბრალო მბეჭდავი საწერ მანქანზე. გაუფლანკმა ექსპლუატაციამ, დაცინვად დააბნია სამეცნიერო მუშაკები. მათ უფლება ახადეს, არ შეუძლიათ თავიანთი აზრის გამოთქმა.

ბევრი დამსახურებული პროფესორი დაითხოვეს, კარგი ხანია. ესლა დაიწყო წმენდა ახალგაზდა დოცენტების და პროფესორების, ვინც არ მოსწონთ დევნიან უნივერსიტეტებიდან. მათ ადგილზე იწვევენ ვიგინდარეებს. მაგ. ენერგეტიკულ ინსტიტუტში მიიწვიეს ვინმე სტუდენტი, რეოსიანი და დუკანაო არუთუნოვი. წითელი პროფესორები ივანე ვაშაყმაძე და მარია ბუმბერაზები გახდენ უნივერსიტეტებში.

ქართული მწერლობა სრულებით მოკვდა. ნამდვილი მწერლები არ სჩანან, სამაგიეროთ ამოტივტივდენ «ზურგიელიძეები» და მათ პოეზიას შეადგენს «ქარხანა გუგუენებს», «წითელი ალი», «ჩაქუჩი», «მახუტში» ამოსვრილი კაცი. და სხვა.

ამ ზაფხულში მომხდარ ამბების გამო საქართველოს მოველინა ბნი სტალინი, მაგრამ ერთ გლენს, არ მიუმართავს მისთვის თხოვნით. იყო თბილისში, ქუთაისში და წყალტუბოში. მოვიდა ცხრა მატარებლით სრულოიად საიდუმლოთ და წავიდა მთელი ზაკეგეუეს და მთავრობის განკარგულებაში არსებულ ავტოებით. ხალხის გულის მოსაგებათ დააბრალა ხაზის გამრუდება ადგილობრივ ჩინოვნიკებს და მოხსნა ცეკის მდივანი სამსონ მამულია და სუხიშვილი. მაგრამ ისეთი არავიანაა, რომ ასეთ ანკეს წამოეგას.

მკვსავრი.

სასოფლო მეურნეობის დაქცევა

ქართველი გლენობის შეუპოვარმა ბრძოლამ გასული წლის განმავლობაში ენა აუღდა ბოლშევიკებს და აიძულა ისინი სააშკარაოზე გამოეტანათ სოფლათ მათი პოლიტიკის მთელი უკუღმართობა და სიმახინჯე. ზოგი რამ ჩვენ «დ. ს.» წინა ნომერში აღვინიწეთ. ეხლა კი ხელთა ვეაქვს მიწათმოქმედების სახ. კომისრის, მეთიკაშვილის მოხსენება. ვაკეთებული 23 დეკემბერს ტფილისში გახსნილ თათბირზე საგანაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.

«კონტრრევოლუციონერი ემიგრანტის» ფანტაზია ვერც კი მიუახლოვდება იმ სუოათს ჩვენი სასოფლო მეურნეობის დეზორგანიზის, დაქცევის და გაპარტახების, რომელსაც ეს ბოლშევიკური ოფიციალური დოკუმენტი ხდის ფარდს.

ბ-ნი სახალხო კომისარი საგნებით ადასტურებს, რომ მოსკოვის მიერ ჩვენში წარმოებული ეკონომიური პოლიტიკა არის პირწავარდნილი კლდინიალური პოლიტიკა. ამ კოლონიალურ სისტემის ზედგამოჭრილი იარაღია სტალინის სასოფლო სამეურნეო «სოციალიზმი»! მოგვხსენებთ, რომ სოცილისტური წარმოება არის წინასწარ გაწესრიგებული, გეგმის მიხედვით წარმოება. აი ამ წინასწარ გაწესრიგებას საგნებით იყენებს მოსკოვი მეტროპოლისის ინტერესებისათვის, ჩვენი სასოფლო-მეურნეობის წინასწარ «დაგეგმვაში» არავითარ მონაწილეობას არ იღებს არამც თუ ადგილობრივი მოსახლეობა, ქართველი ერი, არამედ თვით ადგილობრივი კომუნისტებიც კი. გეგმას უკარნახებს საქართველოს მოსკოვი, სკავშირო ცეკას სახით და მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ სასოფლო მეურნეობის რაკულტურის ნაწარმები სურია მოსკოვს უცხოეთში გასატანათ, ან კიდევ ნელ მსალათ და საკვებათ მეტროპოლისის ინდუსტრიისა და მოსახლეობისათვის. «საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა—აცხადებს მათიკაშვილი—გარკვევით მიგვითითა, თუ რომელი ტექნიკური კულტურები უნდა განვითარ-



დეს საქართველოში. ეს კულტურებია: ჩაი, ბამბა, თამბაქო და რამი) (იხ. «კომუნისტი». 27 დეკ. 1931 წ.) ბრძანება მოსკოვის და აღსრულება ქართველი კომუნისტების. ესენიც შეუდგენ ცენტრიდან ნაკარნახევ ტექნიკურ კულტურათა «განვითარებას» საქართველოში.

მთელი ქვეყნის სასოფლო მეურნეობის დიდი ნაწილის ერთბაშით და ზევიდან ბრძანებით მალალ ტექნიკურ კულტურაზე გადაყვანა შესაძლებელიც რომ იყოს, ამისათვის საჭიროა მრავალი მიუცილებელი პირობების წინასწარ არსებობა: მაგ., ამ კულტურების კარგად მცოდნე კვალიფიციური მუშაკების და ინსტრუქტორების მომზადება; იმ ადგილებში, სადაც ვთქვამთ თესლეულის მოყვანა ადგილს უთმობს თამბაქოს ან ჩაის, მოსახლეობის უზრუნველყოფა პურით, საქონლის საკვებით და სხვა. უპირველესად კი საჭიროა პლანით წარმოებულ სასოფლო მეურნეობის სათავეში იდგეს გამოცდილი, საქმისა და პირველ ყოვლისა ადგილობრივი პირობების ზედმიწევნით მცოდნე ხელმძღვანელობა.

ჩვენ საბჭოთა საქართველოში ხომ არც ერთი ამ და სხვა მრავალ მიუცილებელ პირობათაგანი არ არსებობს. ამიტომაც ბოლშევიკების მიერ ერთი წლის განმავლობაში წარმოებულ ტექნიკურ კულტურის «განვითარებისაგან» გამოვიდა ის, რაც უნდა გამოუსულიყო: საქართველოს სასოფლო მეურნეობის სრული დეზორგანიზაცია, ძველთაგან არსებულ სამეურნეო კულტურის ძვირფას დარგების დაღუპვა, მოსახლეობის უსაზოგადოებო დატოვება და დარბევა, საქონლის მრავლად გაწყვეტა და სხვ. და სხვ. საქართველოს მიწათ მოქმედების სახ. კომისარი აღნიშნულ მოხსენებაში გასაშტერებელ გულუბრყვილობით აღიარებს, რა უფიცობა და ბარბაროსობა გამოუჩენია ჩვენი სოფლის მეურნეობის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას ტექნიკურ კულტურათა განწყოლებაში რაიონების მიხედვით. აი, მაგალითად, სიმინდის რაიონში 50.000 ჰექტარზე დაუთესინებიათ სოია «და ამ გეგმის შესასრულებლათ შევაიწროვეთ სიმინდის ნათესი»-ო. სჩანს სოიასაც დიდი ზიერი არ მოუტანია, რადგან «მომავალ წლის გეგმაში ჩვენ სოიას წმინდა ნათესები არ შეგვაქვს»-ო (იქვე). ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. კომისარი განაგრძობს: «ზოგან ტექნიკურ კულტურების გაფართოვებას მოყვა მარცვლეულ კულტურების ზომასზე მეტად შევიწროება»... ხშირად ეს გაფართოება ისე უწარმოებიათ, რომ მარცვლეულის კულტურა სრულიად განუდევნიათ. მაგ. სიმინდის მოყვანა დასავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ «ახალქალაქის რაიონს თავს ახვევდნენ მარცვლეულ კულტურების გეგმას, როდესაც ეს რაიონი, სულ მცირედის გამოკლებით, მეცხოველეობის რაიონს წარმოადგენს». «ასეთივე მდგომარეობაა დუშეთის რაიონში, რომელიც არსებითად მეცხოველეობის რაიონს წარმოადგენს. ცენტრალური ორგანიზაციები, ამ რაიონში მეცხოველეობას უყურადღებოდ სტოვებენ და რაიონს ავალებენ მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულის და სხვათა გაერკვლებას» (იქვე, რაიონების წარმომადგენელთა ცნობა). თუ რა

ბარაქა მოიტანა აქ მარცვლეულის გაშენებამ, სჩანს იქიდან, რომ დუშეთის დელეგატის ცნობით, პურეულის და საქონლის საკვების ნაკლებობის გამო, «კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები იძულებული ხდებიან გაყიდონ პირუტყვი და პურეული კერძობაზარზე შეიძინონ. გასულ წელს რაიონში ირიცხებოდა სულ 87.000 სული პირუტყვი, წელსკი ეს რიცხვი 67.000-მდე შემცირდა». ასე, ვერც მარცვლეული კულტურა ახერხეს და არსებულ საქონლის მეოთხედიც დაღუპეს რამდენიმე თვის განმავლობაში! თუ მესაქონლეობა მის ბუნებრივ რაიონებში დააზიანეს და დააქვეითეს, მის მოშენებას შეუდგენ სწორედ იმ მხარეებში, სადა ის წინასწარ განწირული იყო. ასე, მაგ., სონდლის რაიონში, «სოფ. ჭიბებრში მოწყობილია მეღორეობის ფერმა, რომელსაც მიწის დიდი ფართობები აქვს დათმობილი. აქაური კლიმატიური პირობები მეღორეობისათვის კი სრულიად მიუღებელია, რის გამოც ერთი წლის განმავლობაში აქ 1500 სული ღორი გაწყდა-მეურნეობას ამ ქამად ყავს მხოლოდ 900 სული ღორი, რომელსაც უფლის შტატი 80 კაციდან შემდგარი (1 მუშა ხელი 11 ღორზე)», და ეს გამოწვევის იყო არის. ღორის გასაშენებელი ფერმები გაუმართავთ აგრეთვე ყვარელის რაიონში და ბევრგან სხვა ადგილებში. მიგრამ, ამბობს მიწათმოქმედების კომისარი, «რას წარმოადგენს ეს ფერმა? ეს არის ღორის ჯოგი და მეღორე-მეტი არაფერი... პირუტყვის რიცხვი მატების ნაცვლად თანდათან კლებულობს» (იქვე). მაგრამ ყვარელის რაიონში მარტო მეღორეობა არ შემოღლიათ. ბატონი კომისარი მოგვითხრობს: «ყვარელის რაიონში, რომელიც მევენახობის ძირითად რაიონს წარმოადგენს, პირველ რიგში იდგა კენაფის დამუშავება, რის გამოც ადგილი ჰქონდა ვენახის დაღუპვას» (იქვე). ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ, ჩვენი კორესპონდენტის ცნობით, კახეთში ღვინო იმერეთიდან შემოაქვთ! და ესეა, როცა კახეთის განთქმული მევენახეობა 70 პროცენტით დასცეს კენაფის და ბამბის საღვებრძოლოთ, რომელიც რუსეთს ესაჭიროება საქეპოტო და ნედლ მასალათ, გამომდგარათ მათიკა-შვილები და გაიძახიან; «მეტი ყურადღება მევენახეობას! «მომავალ 5 წლედში ჩვენივე საკუთარი ნერგით უნდა უზრუნველყოფთ ვენახი ფართობის 100.000 ჰექტარამდე აყვანით!» ადვილი წარმოადგენია თუ რა იქნება მათი სათბობები და შიგ დამზადებული ვენახის ნერგი!

ასე დაანგრის და დააქციეს საქართველოს სასოფლო მეურნეობა, ძირი გაუთხარეს მამაპაპეულ მაღალ სასოფლო კულტურას, გადააშენეს ხალხის და საქონლის შემნახავი მარცვლეულის დარგები, დაღუპეს მეცხოველეობა, გაძარცვეს, გააპარტახეს და დაამშის ქართველი გლეხი. აღნიშნულ თათბირზე დელეგატები სჩივიან, რომ მთავრობამ ვერ უზრუნველყო გლეხი დაპირებულ პურეულით, საქონლის საკვებით და ქალაქის ნაწარმოებით. ამასვე აღიარებს სახ. კომისარი: «გასულ წელს... ტექნიკურ კულტურათა რაიონებში არამც თუ ვერ შევიტანეთ პურეული, არამედ პურის დამზადებაც კი ჩავტა-

რეთ... მეორე შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვერ შევასრულეთ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება. კონტრაქტაციის დადების დროს გლეხებს დავპირდით სხვადასხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელი და ეს პირობა მთლიანად ვერ შევასრულეთ» (იქვე).

ახლა მოუსმინოთ ადგლობრივ დელეგატებს ახალ ტექნიკურ კულტურათა მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფის და კვალიფიკაციურ მუშათა კადრების მომზადების შესახებ. «ეს საქმე სრულიად მოუგვარებელია და ხშირად აშკარა მავნებლობასაც აქვს ადგილი. ამა თუ იმ რაიონში გზავნიან ზოგჯერ ისეთ მანქანა-იარაღებს, რომლებიც მას სრულიად არ ესაჭიროება, მაშინ როდესაც მეორე რაიონი ამ მანქანა-იარაღების დიდ ნაკლებობას განიცდის. სენაკის რაიონში მიიღეს რამდენიმე ათასი დიდი ცელი, რომელიც იქ სრულიად გამოუსადეგარია. ხშირია შემთხვევა როდესაც ადგილები ღებულობენ ამა თუ იმ მანქანის ჩონჩხს უნაწილებოთ, ან ნაწილებს უჩონჩხოთ. ყოველივე ეს მეტად ცუდ გავლენას ახდენს მანქანა-იარაღების დატვირთვაზე, იწვევს დიდ ხარჯებს და სხვ. მოსაგვარებელია აგრეთვე კადრების საკითხი. მიწათმოქმედების კომისარიატის გეგმით წელს უნდა მომზადებულიყო 15.000 კაცი—მთავარი აგრო-კვალიფიკაციის მუშაკი. ამ მიმართულებით ჯერ არც მიწათმოქმედების კომისარიატს გაუკეთებია რამე და არც რაიონებს. მასიური აგრო-კვალიფიკაციის მუშაკების გარეშე კი ძნელია რაიმე ახალ აგრო-ლენისძიებათა გატარება-დანერგვა» (იქვე).

ერთის სიტყვით, არა მანქანა-იარაღით უზრუნველყოფა, არა კვალიფიკაციური მუშაკები, არა ტექნიკურ კულტურის რაიონთა სანოვაგით და საქონლის საკვებით უზრუნველყოფა, უვარგისი, პირდაპირ და მლუბველი ხელმძღვანელობა; ერთი წლის ექსპერიმენტმა მოიტანა საერთო დანგრევა, ძველთაგან აწყობილი სასოფლო მეურნეობის დაღუპვა, ახალ ტექნიკურ კულტურათა მოუსავლიანობა: ბამბა საქირა რაოდენობით ვერ აკრიბებს, კენაფმა არ იხიერა და ამიერიდან სულ აღარ სთესავენ, ასევე სოია, პირუტყვი «ფერმებში» წყდება და სხვ. და სხვ. აქედან თითქოს ბუნებრივი დასკვნა უნდა ყოფილიყო: დამღუპველ ექსპერიმენტზე ხელის აღება და სასოფლო მეურნეობის ბედის ისევ მისი ბუნებრივი მესვეურის, გლეხის, ხელში დაბრუნება. ეს დასკვნა სავალდებულო იქნებოდა, რომ საქართველოს ბედობალი მის ინტერესებზე მზრუნველთ ხელში იყოს. ხოლო მისი დღევანდელი გამგეინი იძულებული არიან უსმინონ არა ქართველ ხალხს, არამედ მოსკოვის ინტერესებს. მოსკოვი კი ბამბას და კენაფს მოითხოვს. და აი მათიკავშირებიც იფიცებენ: მართალია უამრავი «შეცდომა» ჩავიდინეთ, მარა საკავშირო ცეკა თავის პოსტზეა. მან «მიგვითითა» ამ შეცდომებზე, უთუოდ გავასწორებთ და მომავალ წელში ტექნიკურ კულტურებს ავაყვავებთო. მიმდინარე წლის გეგმაში ხუთიოდე პროცენტით დაუკლეს ტექნიკურ კულტურათა გასაშენებელ ფართობს. და, აი, იწყება თავიდან ექსპერიმენტი... გრძელდება საქართველოს სასოფლო მეურნეობის დაქცევა, ქართველი გლეხის

გოლგოთა. და მას არ უჩანს დასასრული, ვინაიდან არ არის ხსნა გარეშე «შეცდომათა» მთავარი წყაროს აღკვეთისა, გარეშე მეტროპოლის ბატონობის გადაცდებისა და ეროვნული თავისუფლების, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისა, რომელიც კახეთის ვენახს გასწმენდს რუსეთიდან მორეკილ ღორებისაგან, ქართველ გლეხს დაუფლებს მის ნაჟერ მიწას, დაუბრუნებს მისი შრომის და ნაოფლარის თავისუფლათ განკარგულებას.

დ. შ.

ერთი საშუალებათაგანი

ჩემმა წერილმა ქართველი ბავშვების გადაგვარების შესახებ გამოხმაურება გამოიწვია. ერთი ქართველი მშობელი მწერს: «სრულიად სამართლიანია თქვენი შენიშვნები. ჩვენი ემიგრაციის მონარდი თავიდა სწორედ რომ დაღუპვის გზაზეა დამდგარი, მათი მომავალი ტრალიკულია. ისინი დაუბრუნდებიან სამშობლოს, რომელიც უცხო იქნება მათვის, რომელსაც ვერ შეეთვისებიან, რომელსაც ვერ ემსახურებიან, ისინი დარჩებიან, გარიყულნი და აღზად ბევრისათვის ცხოვრება გათავდება კატასტროფიულად. ეს უეჭველია, ამის უარყოფა იქნებოდა მეტად აშკარა სინამდვილის არ დანახვა. ამას ვხედავთ მშობლებიც. მაგრამ... არ შეიძლება არ აღინიშნოს მდგომარეობის სიძნელეც—მოგახსენებთ დედამისის მდგომარეობის სიძნელეს. მაგალითისათვის მიგიითიებთ ჩემს თავზე: მე ათი-თერთმეტი საათის გამავლობაში გარეთ ვარ სამუშაოზე და ჩემს ბავშვებს იშვიათად ვხედავ—ან ისინი არ არიან სახლში, ან მე არა ვარ. ჩემი ცოლიც ხელსაქმობს, რომ ცოტაოდნავ შეავსოს ჩემი მცირე შემოსავალი. ამ პირობებში ადვილი არაა ბავშვების აღზრდა მოვლაზედაც ვიზრუნოთ, როგორც საჭიროა. თუმცა მაინც გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ თავის გამართლება არ მინდა და ვგრძნობ ჩემს დიდ დანაშაულს და ხანდახან მიჭირს კიდევ, პირდაპირ და მთელის ალერსით შევხედო შვილებს თვალებში, მრცხვენია, მეშინია: რას იტყვიან, როგორ მისაყვედურებენ, როცა შეიგნებენ თავის მდგომარეობას. ეგებ ხსნა გვეპოვნა, რომ შეერთებულ ძალით მოგვეწყაო მშობლებს საზოგადო რამე დაწესებულება, რომელიც ცოტათი მაინც გამოასწორებდა საქმეს...»

ასეთია მთავარი ქართველი მშობლის წერილისა. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართველი ემიგრანტების უმეტესობა თვითონაც კარგად ჰგროძობდა თავის შვილების აწინდელ მდგომარეობას. ხოლო არ შეგვიძლია ოდნავათაც არის დავეთანხმეთ ჩვენს კორესპოდენტს თავის მარლოებში. შეუძლებელია მოუცლევლობით თავის გამართლება და შვილის მორალური დაღუპვა სამუდამოთ. ვიმეორებთ, მომავალში თვით ქართველ ახალგაზდებისთვის ფიზიკურის ნაკლის ატანა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე მორალურის. ან როგორი იქნება მათი ფიზიკური არსებობა სამშობლოში, რომელთანაც არ ექნებათ არავითარი კავშირი სუ-



ლიერი და ზნეობრივი, კულტურული? მართლ ხომ ის არ იკმარებს, რომ მათ ეცოდინებათ თავისი ქართველობა, ქართველი ერის შვილობა? რასაკვირველია თავისთავად ასეთი შეგნებაც დიდი ძალაა, მაგრამ რა ქნას ამ შეგნებამ, თუ მას არ ექნება რეალური შინაარსი, არ ექნება ქართული სული, ქართული შეცნობა და შეგრძობა, არ ექნება ქართული ერის ცოდნაც კი, რომელიც ოდნავდაც არაა რალაც მექანიკური, გარეგნული იარაღი აზრების და გრძობების გამოსახატავად, არამედ ამ აზრების და გრძობების წარმოშობის პროცესთანაა არსებითად დაკავშირებული. და თვით დღეს ამ უცხოეთში მწარე არაა ჩვენი ახალგაზნდობის ყოფა? გადმომცეს ასეთი ამბავი: ერთი ქართველი ყმაწვილი, მშვენიერად განვითარებული, მოხვდა უცხოთა წრეში, რომლებმაც ქართველ ერზე ბევრი რამ იცოდნენ და დიდი თანაგრძობით გვეპყრობოდნენ. გამოელაპარაკნენ საქართველოზე. მის წარსულსა და დღევანდელზე და სხოვებს, სხვათა შორის, ქართველ ახალგაზდას — რამდენიმე ქართული სიტყვა გვითხარიო. მაგრამ წარმოიდგინეთ საშინელება ყმაწვილის, რომელმაც ერთი «გამარჯობის» მეტი არა იცოდა რა ქართულად. გაფითრდა, მწარე ოფლმა დაასხა, არ იცოდა სიტყვილისაგან რა ექნა.

რამდენი ამისთანა ამბავი ხდება და მოხდება კიდევ! არა, არა. მშობლებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ თავის გამართლება და დიდი პასუხის მგებლობის ამოცანა. თქმა არ უნდა, პირობები მიიძევა. მაგრამ ვანა ლუკმა პუტის შოვნა, ფიზიკური არსებობის შენახვა ადვილია? ასეა თუ ისე ხომ ვახერხებთ ამას დღეს, ასეა თუ ისე მშობლები შვილებისთვის პუტს შოულობენ. და რატომ არ უნდა შეესძლოს, არ მოახერხონ ასევე სულიერი ეროვნული საკვებიც მიაწოდონ თავიანთ შვილებს. ჭეშმარიტად ვერ დავეთანხმებით ზემოდანსახელებულ წერილის ავტორს მშობელს და მეტი მოწოდება რომ იყოს, შესაძლებელია გადაარჩინონ შვილები გადაგვარებას.

სრულებით უდავოა, მშობლებმა რომ მტკიცედ მოინდომონ, შესძლებენ კარგად ასწავლონ ბავშვებს ქართული წერა კითხვა, გააცნონ მათ საქართველოს ისტორია, თავგადასავალი, ბუნება, აუცილებლად ალაპარაკონ და ავარჯიშონ სახლში ქართულ ენაზე. ქართველი ბავში საერთოდ ნიჭიერია, ფრანგულს კარგად სწავლობს — ეს დიდი ღირსება და განძია — და ამისთვის საკმარისია სკოლა, იქ ამხანაგებში ყოფნა. სახლში კი — თუ დაივიწყებთ, რომ აქ მოწაფე კვირა-ხუთშაბათს სულ სახლშია — უნდა მოეთხოვოს ბავშვებს ქართული ლაპარაკი, ქართული მეცადანება თუნდაც ერთი საათით. ეს ყველა ოჯახს შეუძლია, აქ სიძნელე ადვილი დასაძლევია, თუ იქნება სრული შეგნება და მტკიცე გადაწყვეტილება.

ვიზიარებთ კორესპოდენტის აზრს, რომ შესაძლებელია რისამე საერთოსი მოწყობა საქმისთვის დასახმარებლად. შეიძლება რამდენიმე საშუალება არსებობდეს საამისო. ჩვენ დავასახელებდით ერთ-ერთს, ეგებ გამოდგეს და სასარგებლო დარჩეს.

კარგი იქნებოდა, რომ საზაფხულო კანიკულების დროს ქართველი ბავშვები ერთად მოიყრიდნ თავს,

რამდენადაც მოხერხდება, და ამრიგად თუნდაც დროებით შექმნიდნ ურთიერთ ქართულ წრეს, ქართულ ატმოსფერას. საკმარისია თუ ვინმე კერძო ოჯახი ზაფხულში სადმე სოფლად დაიქირავებდა შესაფერ ბინას სათანადო პატარა ეზოთი და მოაწყობდა სულ უბრალო პანსიონს, სადაც ქართველ მშობლებს შეეძლებოდათ თავის შვილების მიბარება ერთი-ორი თვით. პანსიონის პატრონები იკისრებდნ არა მართლ ფიზიკურ შენახვას, არამედ გამართვად რაოდენიმედ ქართულ სკოლასაც — დღეში ერთი ორი საათის განმავლობაში ასწავლიდნ ბავშვებს ქართულ წერა კითხას, უამბობდნ საქართველოზე, მის ცხოვრებაზე, გაართობდნ ქართული ზღაპრებით, სათამაშოებით. ბავშვები აუცილებლად ილაპარაკებდნ დედა ენაზე, გაეცნობოდნ და დაუახლოვდებოდნ ერთმანეთს, იგრძნობდნ თავიანთ თავს ერთ სისხლ-ხორცად, იგრძნობდნ თავის ქართველობას. ასეთს ქართულ პანსიონში ჩვენი მოზარდი თაობა ორნარი სარგებლობას მიიღებს — ერთი ქალაქის კედლებში გამომხჩვალნი ფიზიკურად გამომთვლედებოდნ სუფთა ჰაერზე და მეორე სულიერად მოქართველდებოდნ და ადვილად შეებრძობოდნ ეროვნულ გადაგვარებას.

არაა საქირო სიტყვის გაგრძელება ამ საგანზე, მისი სარგებლობა ნათელია. თუ ამგვარი ქართული პანსიონის მოწყობა ფართოდ და საზოგადო საფუძველზე ძნელია, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანად, ეგებ ვინმემ კერძოდ იკისროს მისი მოწყობა, თუნდაც ათიოდე ბავშვისათვის. ეს არ იქნება მისთვის ქონებრივათაც საზარალო, რათგან ქართველ მშობელთა შორის ყოველთვის გამოჩნდება საკმაო რიცხვი, რომლებიც მოისურვებენ და შესძლებენ შვილების დასასვენებლად გაგზავნას ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით როცა დასვენება იქნება დაკავშირებული ეროვნულ მზრუნველობასა და აღზრდასთან.

ვიქონიოთ სრული იმედი, რომ ასეთი პირი გამოჩნდება მომავალ ზაფხულისათვის.

ს. ტიშნახლავა.

საქართველო და საზრახვეთი *)

რამდენიმე ათასი ქართველი ცხოვრობს საფრანგეთში, უმთავრესად პარიზის რაიონში. მათი უმრავლესობა მუშებია, ბევრია ს. დემოკრატი ან რესპუბლიკელი. ყველანი გამოდენილნი არიან სამშობლოდან — ან გადმხვეწა რუსის ბლომევიკების თავდასხმამ, მათ მთავრობასთან ერთად, რომლის თავმჯდომარეა ნ.ჟორდანია, ან დამარცხებულთ შემდეგ აჯანყებების დროს ვერ გაუძლეს მტრის დევნას და დიდი გაჭირვებით მოახერხეს უცხოეთში გადმოსვლა. მათ აქვთ საფრანგეთში დამხმარე ეროვნული ცენტრი, ლეგაცია.

*) ეს წერილი დაიბეჭდა საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტების ფრიად გავლენიან გაზეთ «დეპეშ დე ტულუზ»-ში ამა იანვრის 7. მისი ავტორია ცნობილი პუბლიცისტი, ყოფილი დეპუტატი, გაზეთის ერთი რედაქტორთაგანი.

მართველია, რომ შეწუხებულნი ეკითხებიან დღეს თავის თავს. თუ რა მოუვათ, როდესაც ძალაში შევა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განზრახული თავდაუსხმელობის პაკტის მე-4 მუხლი. ამ მუხლის ძალით საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი ვალდებულია ჰკისრულობენ ერთმანეთის წინაშე, რათა არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ითვისებს მეორე მხრის მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის მთავრობის თუ მის წარმომადგენლის სახელს.

აქ ნაგულისხმევია საქართველოს ლეგაცია.

ლეგაციის საკითხი დგას პოლიტიკურად, ვინაი-თვან საქართველოს უკანასკნელი მთავრობის წევრები, რომლებიც გარდმხვეწილნი არიან პარიზში, არ სცნობენ, ისე როგორც მთელი ერი, მათი ქვეყნის დაპყრობას საბჭოების მიერ და არასოდეს დასთანხმდებიან დადასტურონ საქართველოს რესპუბლიკის მისობა.

ლეგაციის საკითხი დგას იურიდიულადაც, შემდეგი მოსაზრებით: 1) საქართველო იყო ცნობილი დე-იურე ვერსალის კონფერენციის უმაღლესი საბჭოს მიერ 1921 წ. 27 იანვარს და ეს ნოტიო აუწყა საქსაგარეო საქმეთა მინისტრს ბ. გეგეჭკორს ბ. ბრიანთან. 2) თვითონ საბჭოებმა იცნეს საქართველო დე-იურე 1920 წ. და შემდეგ დასდევს მათთან პოლიტიკური და კომერციული ხელშეკრულება, რომელმაც ხელი არ შეუშალა მათ თავს დასხმოდენ საქართველოს და ძალადობით მოეხდინათ მისი შეერთება საბჭოებთან 1921 წ. 3) როდესაც მთავრობის თავმჯდომარემ ჰერიომ 1924 წ. იცნო საბჭოები დე-იურე, მან გარკვევით აღნიშნა, რომ ეს ცნობა სრულებით არ სობდა საფრანგეთის მიერ წინად ნაკისრ ვალდებულებათ, და აქ ნაგულისხმევი იყო საქართველო, რომლის უფლება იყო შემონახული. 4) არც გენუის და არც ლონანის კონფერენციებზე საფრანგეთს არ უცვინია საბჭოთა დელეგაცია საქართველოს წარმომადგენლად. 5) პუანკარეს შემთხვევა ჰქონდა ეთქვა პალატის ტრიბუნლიდან, რომ საფრანგეთისთვის შეუძლებელია მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიურ ძალაუფლების წარმომადგენლებთან, რომელმაც გამოაძევა საქართველოს წესიერი მთავრობა. 6) პოლ-ბონკურმა საფრანგეთის დელეგატმა წარადგინა ნაციათა ლიგის წინაშე საქართველოს გამოძევებული მთავრობის პროტესტი ბოლშევიკების რეპრესიების წინააღმდეგ 1924 წ. აჯანყების დროს.

აღარ გავაგრძელებ, და განა დასახელებულიც საკმაოდ არ გვიჩვენებს, რომ საფრანგეთმა სიტყვა მისცა საქართველოს და არ შეუძლია ეს სიტყვა უკან წაიღოს და საქართველო გადასცეს საბჭოებს?

ჩვენ არ ვეხებით პაკტის არსებას და საზოგადო აზრს; არც ქართველები ეხებიან მას. ხოლო პაკტის მე-4 მუხლი მიუღებელია. იმის მიღება მოასწავებდა მას, რომ ჩვენ, ასე ესთქვით, მეორედ მოვანდენლით ქართველების გამოძევებას და მათ გადაეცემდით ს.ს.რ.-ის საელჩოს, სადაც მათ არ უნდათ და არც შეუძლიათ წასვლა. საფრანგეთის ადათია პატივი სცეს თავის ხელის მოწერას. ამას არ უნდა უღალატოს.

B. Mayeras.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა

რუსეთთან დაკავშირება.

საქართველო აღორძინების გზაზე შედგა. წელში გამართვას აპირებდა, მაგრამ მისი მდგომარეობა მანაც მძიმე იყო. მას ესპერიოვებოდა ხანგრძლივი მშვიდობიანობა დასუსტებული სხეულის გასამძლელებლად. სპარსეთი და ოსმალეთი თუმცა დროებით შეჩერებულ იქნენ, მაგრამ მათგან შემოტყვის განახლება ყოველთვის იყო მოსალოდნელი. ხოლო მუსულმანთა გარშემორტყმული საქართველო არა მარტო პოლიტიკურად განიცდიდა შევიწროვებას: აზიისა და ევროპის საზღვარზე მცხოვრები ქართველი ერი თავის კულტურით, ტრადიციებით, ფსიქიკით უფრო დასავლეთის ერი იყო. ვიდრე აღმოსავლეთის. აღმოსავლეთის ერების წრეში მომწყვდეთლი იგი იხზობდა სულიერად, და მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა, სტიქიურად, მისწრაფობდა ევროპისაკენ, დასავლეთის განათლებასთან დასახლოვებლად.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ ქართველები მოწყდნენ ევროპას. მაგრამ მანაც ცთილობდენ არაპირდაპირი გზით ურთიერთობა ჰქონდათ ევროპასთან. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში კონსტანტინე მეფემ საგანგებო დესპანი გაგზავნა პაპთან და ისპანიის დედოფალთან და თხოვდა მათ. შემდგარყო ქრისტიანე სახელმწიფოთა კავშირი თურქების წინააღმდეგ. წარმომადგენლების ასეთ გაგზავნას დასაგლეთში ადგილი ჰქონდა არა ერთხელ შემდეგ. ქართველთა და ევროპიელთ ურთიერთობას ხელს უწყობდენ კათოლიკე მისიონერები, რომელნიც ადრევე გაჩნდენ საქართველოში და შექმნეს საკუთარი ეკლესიები, მონასტრები და სკოლები. მათი დახმარებით ქართველ მეფეებს მიწეროაწერა ჰქონდათ რომის პაპთან და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში რამდენჯერმე იყვნენ გაგზავნილნი საქართველოს წარმომადგენლები ევროპაში. სხვათა შორის განთქმული ლექსიკონის შემდგენი და «სიბრძნე სიცრუის» დამწერი საბა ორბელიანი წარმოგზავნილი იყო საფრანგეთის მეფესთან, ლუი მე-XIV-თან. მაგრამ ევროპის მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა გამო საქართველომ ვერ შესძლო მტკიცე ურთიერთობის მოწყობა ევროპასთან, ვერც რაიმე დახმარების მოპოება სპარსეთ-ოსმალეთის ძალმომრეობის ასალავმავად.

ამ პირობებში საქართველომ ძალაუნებურად მიაქცია ყურადღება რუსეთსაც. როგორ ერთ მორწმუნე სახელმწიფოს, რომელთანაც მისგლა-მოსგლა დიდი ხანია სწარმდებდა, ხოლო ამ დამოკიდებულებას არავითარი რეალური შედეგი არ მოყოლია. მდგომარეობამ მიიღო სულ სხვა ხასიათი მე-18 საუკუნეში, როდესაც რუსეთმა დაიწყო სამხრეთისკენ გაწევა და ჩაება ომებში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ესლა საქართველოს და რუსეთის ინტერესები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. რუსეთისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, თავის ომებში სამხრეთისკენ დაყრდნობოდა ისეთს. თუმცა პატარა, მაგრამ კულტურულსან, ქრისტიანე და მამაცს ერს, რო-



გორიც იყო ქართველი ერი. საქართველო თავის მხრით ფიქრობდა, რომ როგორც მოკავშირე ისარგებლებდა რუსეთის ძალას თავის დიდი ხნის მტრების საწინააღმდეგოთ. და თანაც გაიადვილებდა რუსეთის შემწეობით ევროპასთან დაახლოვებას და დაკავშირებას. საქართველო მზად იყო, თავის სახელმწიფოებრივ უფლებიდანაც კი დაეთმო ზოგი რამ რუსეთისთვის, თუ იგი დაეხმარებოდა მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფელად და კვლავ შესამოქმედებლად ოსმალეთის მიერ წაგლეჯილ მესხეთისა.

1783 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება რუსეთის მთავრობასა და ქართლ-კახეთის მეფეს შორის, რომლის ძალით ერეკლე მეორე აღიარებდა რუსთა იმპერატორის პროტექტორატს. რუსეთი ჰკისრულობდა ქართლ-კახეთის მთლიანობის და ხელუხლებლობის დაცვას გარეშე მტრებისაგან; შინაური წესწყობილება უცვლელი უნდა ყოფილიყო, რუსეთი არ ერეოდა შინაურ საქმეებში, ტახტი რჩებოდა ბაგრატიონთა გვარეულობას. ეკლესია რჩებოდა დამოუკიდებელი, საგარეო პოლიტიკაში საქართველო რუსის იმპერატორებს ემორჩილებოდა; საქართველოს ევალეობდა თავის ჯარით კავკასიაში რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა და რუსის მოქალაქეთა დაცვა. დამატებით მუხლებში ნათქვამი იყო, რომ თუ ომი ატყდებოდა, საქართველოს სახლვარზე მდგარი რუსის ჯარი ქართველებს უნდა მიშველებოდა და გარდა ამისა ტფილისში უნდა დაბინავებულიყო ორი ათასი რუსის ჯარისკაცი. მოხსენებული იყო აგრეთვე, რომ თუ ოსმალეთს ჩამოერთმევოდა საქართველოს ყოფილი ნაწილი, იგი უერთდებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს.


ხელშეკრულება დადებულ იქნა, ხოლო რუსეთმა არ შეასრულა მიღებული ვალდებულებანი და რანსმარების მაგიერ ხელი შეუწყო საქართველოს მდგომარეობის გაუარესებას. მარტო მცირე რაზმი გამოგზავნა საქართველოში და რამდენისაზე ხნის შემდეგ ისიც უკან გაიწვია. ერეკლე მეფის რუსეთთან დაახლოვებამ კი დიდი უკმაყოფილება და მოძრაობა გამოიწვია ქართველების წინააღმდეგ მეზობელ მუსულმან სახელმწიფოებში: ოსმალეთმა სახლვარზე ჯარი გააძლიერა, ხოლო სპარსეთმა ჯერ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მაჰმადიანი მთიელები შეგოუსია ერეკლეს სამეფოს და მერე, როცა ქართველებს რუსეთთან ყოველისავე კავშირის შეწყვეტა მოსთხოვა და მათ ეს არ შესრულეს, მრავალრიცხოვანი ჯარით ტფილისისკენ გამოილაშქრა. მოხუცი ერეკლე სასწრაფოდ მოემზადა, მდგურად დახვდა მტერს და დიდი ხარალი მიაყენა. შაჰი ალა-მაჰმად-ხანი უკვე უკან გაბრუნებას აპირებდა. მაგრამ ზოგიერთი არაქართველთა დალატით შემოტევა განახლა და მეტად მწვავე ბრძოლების შემდეგ ტფილისში შემოიჭრა. ერეკლემ დაიხია და მთებში გაიხიხნა. მისი უკან შემობრუნების შიშით ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისში დარჩენა ვერ გაბედა, გაპარცვა და გადაწვა ქალაქი, 30 ათასი ტყვე წაიყვანა და სპარსეთისკენ გაბრუნდა.

ამ უბედურების შემდეგ ერეკლე მეფეს დიდხანს არ უცოცხლია და იგი მალე გარდაიცვალა. ტახტზე

ავიდა მისი შვილი გიორგი, კაცი განათლებული, მაგრამ ავადმყოფი და სუსტი ნების. მან მოახერხა კეთილგანწყობილების აღდგენა სპარსეთსა და ოსმალეთთან, რომლებიც ყოველ შელავათს და სიკეთეს ჰპირდებოდნენ, ოღონდ რუსეთს ნუ დაუკავშირდებიო. მაგრამ გიორგი მათ უნდობლად უცქეროდა და როცა დაინახა, რომ რუსეთმა თითქოს შესცვალა წინანდელი პოლიტიკა და დაარწმუნდა, თუ რა დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის საქართველოს და მოწადინებული იყო ახალი შეკავშირების.—რუსეთთან მოლაპარაკება გამართა და ახალი შეთანხმება იქნა მიღებული. ამის თანახმად ტახტი და მეფობა ბაგრატიონებს რჩებოდათ. მართველობა და ჯარი იქნებოდა ქართული, დამოუკიდებელი რჩებოდა ეკლესია, ფული მოიჭრებოდა ქართული, ხოლო ერთმხარეზე ქართული გერბით და მეორეზე რუსულით, რუსის ჯარი ქართველებთან ერთად დაიქერდა ყველა ციხესიმაგრეებს, მაგრამ კომენდანტებად უთუოდ ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

ხელშეკრულება ორივე მხრისაგან დამტკიცებული იყო, როცა მეფე გიორგი გარდაიცვალა და რუსეთი ახლაც ვერაგულ გზას გაჰყვა. ტფილისში მოყვანილ თავის ჯარის შემწეობით ყოველი ზომა მიიღო, რომ შემკვიდრეს დავითს თავისი თავი მეფედ არ გამოეცხადებინა, დაიწყო გავლენიანი პირების ქრთამებით მოსყიდვა, ხოლო ვინც აქტივისტი იყო და მისი მოწინააღმდეგე დაატუსაღა ან საქართველოდან განაძევა, ყოველივე პროტესტი უფურადღებოდ იქნა დატოვებული და წინააღმდეგ როგორც ერეკლესთან ისე გიორგისთან დადებულ ხელშეკრულებისა, 1801 წელს ქართლ-კახეთი გამოცხადებულ იქნა რუსეთთან შეერთებულად, ვითომდა «თვითონ ქართველი ერის საკეთილდღეოდ». არეულობის თავიდან ასაცილებლად ტახტის მემკვიდრე და სამეფო სახლის ყველა წევრები—კაცებიც და ქალებიც—რუსეთში გადაასახლეს (ზოგიერთებმა მოასწრეს გაქცევა და გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში ან სპარსეთში). ამ გადასახლების დროს ერთი დრამაც მოხდა: მეფე გიორგის ქვრივმა მარიამმა უარი განაცხადა რუსეთში წასვლაზე და როცა რუსის გენერალმა ძალით მოუხდომა წაყვანა, ხანჯლით მოკლა იგი. ქართველი მოხელები გადააყენეს, ყველგან რუსები დანიშნეს, სასამართლო და ადმინისტრაცია რუსულად მოაწყვეს, ტლანქად დაუწყეს ხალხს მოპყრობა, ძალიანობა გააბატონეს.

რუსების მოქმედებამ დიდი უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია ქართველებში, რომლებიც რუსებზე მაღლა იდგნენ თავის კულტურით და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნებით. რუსეთთან დაახლოვებას ძლიერი მოწინააღმდეგე ჯგუფი ჰყავდა თავიდანვე და იყო დრო, როცა ამ ჯგუფს ერეკლე მეფის გადაყენებაც კი უნდოდა, რათა ხელი შეეშალა რუსეთთან დაკავშირებისათვის. რუსების შემოსვლის შემდეგ ამ ჯგუფმა გააძლიერა მოქმედება და მათ მხარს უჭერდნენ ყველა წრეებში. თავდა ანაუერობამ ასეთი განცხადებით მიმართა რუსის მთავრობას: ჩვენ გვებრძოდა სულთანი, გვებრძოდა შაჰი,



გვებრძოდა დაღესტანი, მაგრამ არც ერთს არ დაემორჩილებივართ; ხანდახან გვამარცხებდნენ, ხოლო არასოდეს შევირგებებივართ და მათ შეფობა არ მოუსპიათო. უკმაყოფილო იყო გლეხობა, რომლის მდგომარეობა ეკონომიური და უფლებბრივი რუსის კანონმა გაუთანასწორა რუსეთის გლეხების მდგომარეობას და მით გააუარესა. ხალხი სტიქიურად ამოძრავდა რუსების წინამდევ. პირველად აჯანყდნენ ქართველი მთიელები, რომელთაც შეკრეს რუსეთ-საქართველოს ზნა. ამოსწყვიტეს რუსის რაზმი და რამდენიმე თვის განმავლობაში მედგარე წინამდევობას უწყვედენ რეგულიარულ ჯარს. უფრო დიდი და ფართო იყო მეორე აჯანყება 1812 წ., რომელიც დაიწყო კახეთმა და რომელსაც მიემხრო მერე ქართლიც. აჯანყებულებმა მეფეც კი აირჩიეს—უკანასკნელი მეფის შვილის შვილი გრიგოლი. რუსის მთავარმართებელმა, რომ საყვედური შეუთვალა: იმპერატორის ფიცი გატეხეთო. მათ ასე უპასუხეს: უპირობი თქვედა ხართ, თქვენ დაგვიწყდათ თქვენი დაპირებანიო. იმ დროს ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა და ეს ამხნევებდა ქართველებს. მათ რამდენიმე ბრძოლა ჰქონდათ რუსებთან და ყოველთვის გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ბოლოს ძლეულ იქმნენ, რუსებმა მრავალი სოფელი და დაბა ერთიან გაანადგურეს, მრავალი დახოცეს და მრავალიც ციხბირში გადასახლეს. ამის შემდეგ კიდევ არ დაწყნარებულა მხარე და ცალკე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ხან აქ, ხან იქ.

რუსეთმა რაკი აღმოსავლეთ საქართველოში ფეხი მოიკიდა, დასავლეთ საქართველოს მიადგა და შეუღდა იქაურ სამეფოსა და სამთავროების მოსპობას. იმერეთში იმ დროს მეფედ იყო სოლომონ მეორე, მეტად ჰკვიანი და ენერგიული ადამიანი. იგი განაგრძობდა მხნედ ბრძოლას განდგომილ მთავრებთან, გურია დამორჩილა და ჯერი იყო მიმდგარი სამეგრელოზე. სოლომონი ძალიან შეაფიქრიანა რუსების ტფილისში დამკვიდრებამ და ცთილობდა მთელი დასავლეთი საქართველო გააერთიბინა და რუსების მოსალოდნელ აგრესიობას საერთო ძალით დახვედროდა. მაგრამ სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მფარველობა მიიღო და მისი დახმარებით წინააღმდეგა სოლომონს. რუსებმა ჯარი მიაყენეს იმერეთს და აიძულეს მეფე ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რომელიც დაახლოვებით ისეთივე შინაარსის იყო, როგორც რუსეთის და ქართლ-კახეთის პირობა. სოლომონმა კარგად იცოდა, თუ რა ფასი ჰქონდა რუსეთთან დადებულ შეთანხმებას და ფართულად დაიწყო ჯარის მზადება და თანაც მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. რუსებიც არ ენდობოდნენ მეფეს, ტფილისში დაიბარეს ვითომდა მოლაპარაკების გასაგრძელებლად და მოულოდნელად დაატუსაღეს. სოლომონი ერთგული პირების დახმარებით ციხიდან გაიქცა და ოსმალეთში გადავიდა. რამდენიმე თვის შემდეგ მოახერხა სამშობლოში შემოსვლა და მთელი იმერეთი, სადაც უკვე რუსები შესულიყვნენ და დიდათ ავიწროვებდნენ მკვიდრთ, ფეხზე დადგა როგორც ერთი კაცი და მიემხრო თავის მეფეს. თავგამოდებით შეებრძოლენ მოძალადეებს, მაგრამ ბოლოს გამარჯვება მტერს ერგო. სოლომონ მეფე

ისევ ოსმალეთში გაიხიზნა და იქ გარდაიცვალა მალე. ამის შემდეგ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებიც დაიმორჩილა და იქაც როგორც აღმოსავლეთში, რუსული წესწყობილება გააბატონა და ამგვარად მთელი საქართველო შეუერთა თავის იმპერიას, როგორც უბრალო გუბერნიები. ამას მოყვა დანარჩენი კავკასიის დაპყრობაც და რუსის მთავრობა დაურიდებლად შეუდგა მთელი მხარის გარუსებას და ყოველგვარი ადგილობრივი კულტურის და ეროვნული თავისებურობის მოსპობას.

რუსეთის სეგლი და განთავისუფლება.

რუსებმა არ დაინდვეს არც მართლმადიდებელი ქართველი ეკლესია, რომელიც მესხეთე საუკუნიდან დამოუკიდებელი იყო და მუსულმანთა უმწვავეს ბატონობის დროსაც არ ყოფილა მოსპობილი. მთავრობამ საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსი რუსეთში გადასახლა, მის მართველად დანიშნა რუსი და დაუტყვემდებარა რუსეთის ბიუროკრატიულ სინოდს. როცა ამას არ დაემორჩილნენ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები და მღვდლები, მთავრობა მათი მეთაურები ორი მიტროპოლიტი დაატუსაღა და ერთი ცემით მოკლა და ერთიც რუსეთში გაგზავნა. ასეთმა სიმხეცემ ხალხის ამბონება გამოიწვია, რაიც დიდის სიმკაცრით იქნა ჩაქრბილი.

ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაში ჩაყენებულ იქნენ რუსები და თუ ქართველს მიეცემოდა რაიმე თანამდებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებდა რუსობის უსახლფრო ერთგულებას და განდგომას თავის ერისაგან. ყველგან შემოღებული იყო რუსული ენა—სასამართლოში, ადმინისტრაციის და ეკლესიებშიც კი ქალაქ ადგილებში. ქართველი ვერც ვისმე მიმართავდა თავის ენაზე, ვერც რაიმე განცხადებას შეიტანდა. სწავლება პირველ დაწყებითსა და სხვა სკოლებში რუსულად სწარმოებდა. მოწაფეებისთვის აკრძალული იყო ქართული ლაპარაკი. ქართული წიგნის კითხვა, ქართლის თეატრში წასვლა. მოწაფეები იძევებოდნენ, თუ ოდნავდაც არის გამოაჩენდენ თავის ეროვნების და თავის სამშობლოს სიყვარულს. მთავრობა ცთილობდა ადგილობრივი პარტიკულიარიზმი შეექმნა ქართველ ერში, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში შეუთვისებია და განუმტკიცებია თავისი მთლიანობა, და ამით უნდოდა გაეტეხა ქართველობის წინამდევობა. ყოველ ზომით აბრკოლებდა ქართველი ახალგაზდების სასწავლებლებში შესვლას და მიუხედავად მრავალ გზის თხოვნისა, რომ ტფილისში გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი, თუნდაც რუსული ენით. მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა რისიმე მსგავსის გამეტება ქართველებისათვის.

ყოველგვარ გონებრივ-კულტურულ მუშაობისათვის შემოღებული იყო ორმაგი და სამმაგი პოლიციური კანტროლი და ცენზურა. არსებობდა უსასტიკესი ცენზურა წიგნებისა და გაზეთებისთვის. ცენზურა თეატრისთვის, ცენზურა ბიბლიოთეკებისთვის, ცენზურა საჯარო მოხსენებებისა და ლექციებისთვის. ცენზურა უკვე დაბეჭდილი და დაცენზურებული ლექსის წაკითხვისათვის სალიტერატურო სა-



დამოწე. ყველაფერი, რასაცკი რაიმე ქართული, ეროვნული, პატრიოტული იერი გააჩნდა, იყო აკრძალული და დევნილი. საქმე იქამდის მიდიოდა ხშირად, რომ ქართულ განეთს არ შეეძლო ეხმარა თავის ფურცლებზე სიტყვა საქართველო. ქართული თეატრისთვის ნებადაუთვლილი იყო ქართული ისტორიული პიესების დადგმა, გარდა მცირე გამონაკლისისა. როდესაც რუსეთმა 1828 და 1878 წ. ჩამოართვა ოსმალეთს ნაწილი საქართველოს ყოფილი ტერიტორიისა, ქართველებს არ მისცა ნება თავის გამაჰმადიანებულ მოძმეთა შორის ქართული წიგნი და სკოლა გაეგრძელებოდა, და როცა ეს გამაჰმადიანებული ქართველები, ხშირად ქართულად მოლაპარაკენი, თავის თავს «გურჯებს»—ქართველებს უწოდებდნენ, ამას უკრძალავდა და უბრძანებდა, თქვენ თურქები ხართო.

ამგვარსავე მიზანს—ქართველი ერის დასუსტებას—ემსახურებოდა რუსის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში. რამდენიმე ათეული მილიონის ღირებულები ქონება ჩამოართვა ქართულ ეკლესიას და სამეფო გვარეულობას და აქედან არაფერი მოხმარებია ქართველი ერის ინტერესს; დაუბრუნებდათ რუსის მოხელეებს, ან ზედ დასახლეს რუსეთიდან გადმოსახლებულები. ქართველი გლეხობა მიწის სივიწროვეს განიცდიდა და ამავე დროს მთავრობამ სავანებო ბანკი გამართა საქართველოში მიწების შესაყიდად და რუსების დასაბინავებლად. საერთოდ მონდომებული იყო, რომ საქართველო აეჭრებოდა და ქართველებში ბევრი არაქართველი ჩაეთესლა. სამუსულმანო საქართველო რომ დაიპყრო, იქაური მკვიდრი ქართველნი იძულებულ ჰყო, აყრილიყვნენ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ და იმათ ალაგასკი სომხები მოათავსა. ასევე ყოველნაირად ხელს უწყობდა, რომ საქართველოს დედაქალაქში ქართველობა არ გაძლიერებულიყო და მას დაჰკარგოდა ქართული სახე. დაბრუნებული იყო ადგილობრივი წარმოების და მრეწველობის განვითარება, საქართველოს მარგანეცისთვის (ჭიათურაში) დაწესებული იყო შეუწყნარებელი უზომო სარკინიგზო ტარიფი, რათა მას ნაკლები კონკურენცია გაეწია შიდა რუსეთის მარგანეცისათვის.

• რუსეთში მე-19 საუკუნის სამოციან წლებში რამდენიმე ფრიალ მნიშვნელოვანი რეფორმა იქნა განხორციელებული. რუსეთმა საქართველოში მხოლოდ გლეხთა განთავისუფლება მოახდინა და ვერ გაიმეტა ისეთები, როგორც იყო ერობა, ნაფიცთა სამსახულო და სს., თუმცა ქართველებმა არაერთხელ აღძრეს ამისთვის დაჟინებითი შუამდგომლობა.

ასეთ პირობებში იყო მომწყვდეული ქართველი ერის ცხოვრება ერთ საუკუნეზე მეტს, მას შემდეგ რაც შეიერთა «ერთმორწმუნე რუსეთმა». მაგრამ ამან ვერ შეაჩერა მაინც ვერც პოლიტიკური მისწრაფება ქართველი ერის. ვერც მისი კულტურული და ეკონომიური ზრდა. ხალხმა გამოიყენა ასე თუ ისე დამშვიდებული მდგომარეობა და განსაკუთრებით ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ იწყა ქონებრივი წარმატება. უკანასკნელი ფართო აჯანყების ცდა იყო განზრახული თბილისში 1832 წ. ამის შემდეგ ქართველი ერის პოლიტიკური აზრის გამოცხადე-

ლება გასულ საუკუნის 60-70 წ-დან დაიწყო. პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა 1819 წ., მაგრამ ნამდვილი პოლიტიკური პრესა ჩნდება მხოლოდ მე-60 წ-დან და მაშინდელი მოწინავე განათლებული ქართველები ილაშქრებენ თავის მამების წინააღმდეგ, რომლებიც მეტად მოღუნდნენ და სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ რუსებს. მთავარი მუშაობა იყო იდეური, პროპაგანდა საქართველოს ტერიტორიის დასაცავად, ენის შესანარჩუნებლად და ეროვნული გრძობის გასაღვივებლად და გასაძლიერებლად. ქართულმა აზროვნებამ თავი მოიყარა რედაქციებში, წიგნების გამომცემლობაში, საქველმოქმედო საზოგადოებებში და თეატრის გარშემო. ქართველი ახალგაზრდა ფართოდ ეტანებოდა რუსეთის და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს, ითვისებდა მაშინდელ მოწინავე აზრებს და ეროვნულ თვითშეგნების პროპაგანდის გარდა ავრცელებდა ხალხში დემოკრატიულს და პროგრესულ იდეებს. რადგან დაბნული იყო სრულებით პოლიტიკური სარბიელი, ქართული შემოქმედება განსაკუთრებით გაიშალა ხელოვნებაში. თითქმის ყოველი ევროპული ლიტერატურული მიმართულება ჰპოულობდა საქართველოში გამოძახილს: იყვნენ ქართველი რომანტიკები, ბირონისტები, რეალისტები, ნატურალიზტები და სს. წარმოიშვენ შესანიშნავი პოეტები, რომელთაგან ზოგს, მაგალ. ნ. ბარათაშვილს ღირსეულად შეუძლია საპატიო ადგილი დაიკავოს მსოფლიო ლიტერატურაში, თავის საკაცობრიო სევდის ლექსებში. მას გვერდს უმშვენებენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, თავის ქვეყნიურ ცხოვრების წარმავლობის ნაღველში ვალესილი სიმღერებით, დიდი პოეტი, რომანისტი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე, ბუნების უშუალო განცდების შეუღარებელი გამომსახველი ვეპა-ფშაველა, ქართველი ერის მისწრაფებების და იმედების მაგლობელი აკაკი წეთეთელი, რომლის მომხიბლავი ლექსები სახალხო სიმღერებად გადაიქცნენ მთელ საქართველოში. ბელოეტრისტიკაში უნდა დავასახელოთ ა. მოხსუბარაძე, რომელმაც საუბროვოდ დახატა ქართველ მთიელთა ბრძოლა რუსების წინააღმდეგ, რეალისტი გ. წერეთელი, ცხოველი ტიპების შემქნელი, დიდი იუმორისტი და ვ. კლდიაშვილი, ახალი გლეხობის გულის მესაიდუმლე ე. ნინოშვილი.

მწერლობასთან ერთად განვითარდა სათეატრო ხელოვნება. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მას საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-18 საუკ. ბოლოს, ხლო იმის შემდეგ კვლავ აღმოჩინდა 1850 წ. გ. ერისთავის ხელმძღვანელობით, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო მსახიობი და ნიჟიერი დრამატურგი. მის შემდეგ სახელი დაიმსახურა ავ. ცაგარელმა თავის კომედიებით. გარდა ორიგინალურ ნაწარმოებთა გადმოთარგმნილ იქნა ბევრი ევროპული ცნობილი პიესა. მოლოიერი ერთი საყვარელ ავტორთაგანი ვახდა. რომლის კომედიები ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და რომელსაც ისეთი ხელოვანი შემსრულებელი ყავდა, როგორც იყო ვ. აბაშიძე. გადმოთარგმნილი იყო შექსპირის საუკეთესო ტრაგედიები, რომელთა შესრულება ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით

ყოველთვის დიდს საზოგადოებას იზიდავდა. განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა ქართველებში ისტორიული პიესები. აღსანიშნავია, რომ სარდუს დრამა «სამშობლო» გადმოაქართულეს, შიგ ჩადვეს ქართული ისტორიული შინაარსი, ქართველების ბრძოლა სპარსელებთან. ეს პიესა ზედიზედ რამდენჯერმე იქნა წარმოდგენილი, საზოგადოება დიდს ინტერესით შეხვდა, დემონსტრაციები გამოიწვია და მთავრობამ აკრძალა მისი წარმოდგენა.

ქართულ მეცნიერებას, უნივერსიტეტს მოკლებულს, არ ქონდა განვითარების საშუალება. ქართველ მეცნიერები გაფანტულნი იყვნენ რუსეთის უნივერსიტეტებში, სადაც ზოგიერთმა მათგანმა კარგი სახელი დაიმსახურა (თარხნიშვილი, პეტრიაშვილი, მელიქიშვილი). ერთად ერთი დარგი—საისტორიო მეცნიერება, შესწავლა სამშობლოს წარსულისა განვითარდა მხოლოდ. უნდა მოვიხსენიოთ აქ, რომ ფრანგმა ბროსემ დაუფიქსარს სამსახური გაუწია ქართველ ერს, გამოსცა ქართული ანალები (ქართლის ცხოვრება) და სხვა დოკუმენტები თავის კომენტარებით და დასწერა რამდენიმე გამოკვლევა საქართველოს ისტორიის. ქართველ ისტორიკოსებში თავი გამოიჩინეს: ბაქრაძემ, მარმა, თაყაიშვილმა, ჯავახიშვილმა. ამ საისტორიო მუშაობას ხელი შეუწყო ქართული ძველი ხელნაწერების, საბუთების, ნაშთების შეგროვებამ, რომელთა რიცხვი რამდენსამე ათასამდე აღვიდა. მოუწყო ქართული სახალხო სიტყვიერების მასალების შეკრება და გადაღებულ იქნა ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები, საზოგადოთ ქართული მუსიკა, რომელიც დიდი ღირსებისაა.

ასეთი მუშაობა სწარმოებდა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. იგი უმთავრესად კულტურულ იდეური იყო და პოლიტიკურ სფეროში არ სცილდებოდა ზოგად ლოზუნგებს; არ იყო პოლიტიკური ორგანიზაციები კონკრეტული გეგმებით; მამულიშვილები აღიარებდნენ მშვიდობიანობის ტაქტიკას, იდეურ ზედგავლენას და თხოვნას-პეტიციას. რომ ამგვარი ტაქტიკით შორს ვერ წავიდოდა ქართული საქმე, ამის საუკეთესო მაჩვენებელია, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტი: 1886 წ. ქართული ეკლესიის ეგზარქოსმა რუსმა დასწყევლა, ერთი ტერორისტული აქტის გამო, მთელი ქართველი ერი, რისთვისაც მას პატრიოტმა დ. ყიფიანმა საპროტესტო წერილი მისწერა; მთავრობამ დ. ყიფიანი რუსეთში გადაასახლა და იქ საიდუმლოთ მიგზავნილ კაცებს მოაკვლევინა.

გასული საუკუნის დასასრულ და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერის ცხოვრებას სათავეში ჩაუდგნენ ახალი ძალები, რომლებიც დაირაზმნენ მტკიცე პოლიტიკურ კავშირებად, ევროპიულ ყიფიანზე. თუ წინად საერო საქმეს ხელშეშლავდნენ უმთავრესად მაღალ წოდებიდან გამოსული განათლებული ვიწრო წრე, ახლა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებში ჩაებნენ ფართო მასები—გლეხობა, მუშები, წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მოხელეობა, მასწავლებლები. ტაქტიკა მათი იყო რევოლუციონური ბრძოლის და მუშაობდნენ კონკრეტულად ჩამოყალიბებული პროგრამების მიხედვით. თავში ეს პროგრამები მხოლოდ საზოგადო

პოლიტიკურ და სოციალურ მიზნებს ისახავდნენ და მხოლოდ შემდეგ თანდათან მოვიდნენ ეროვნულ უფლებათა აღდგენის საქმეებამდე.

როცა 1905 წლის რევოლუცია მოხდა რუსეთში, ქართველი ერთ ერთი მეტად აქტიურ მონაწილეთაგანი იყო მისი და მომყოლმა რეაქციამაც ძლიერ მწვავედ გადაიარა მის ზურგზე; მრავალი ქართველი მებრძოლი იქნა დახვრეტილი ან კატორღებში გაგზავნილი და ბევრი სოფელი და ქალაქი გადაწვეს და განადგურეს რუსის დამსჯელმა ექსპედიციებმა. რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროში საქართველოს 8 დეპუტატი ყავდა, მერე საარჩევნო კანონი რომ შეიცვალა, მხოლოდ სამი. ქართველი დეპუტატები მთელი რუსეთის მემარცხენე ოპოზიციას ხელმძღვანელობდნენ და დიდი გავლენა ჰქონდათ.

მსოფლიო ომის დაწყებამ ბუნებრივად აამოძრავა ქართველობა—ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი აუცილებლად გამოიწვევდა ცვლილებებს რუსეთის მართველობაში და შედავათებს მოუტანდა საქართველოსაც. საქირო იყო სამხადისი და თადარიგის დაქვეა. პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ნშირად ფრიად ცხარე შეტაკებები ჰქონდათ ერთმანეთთან, ახლა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელი იყო მათი კონტაქტი და ერთად გათვალისწინება მოსალოდნელ ამბების. ამ მიზნით მოეწყო ყველა პარტიის საერთო კომიტეტი. როგორც კი რუსეთში დიდმა რევოლუციამ იფეთქა, კომიტეტის ავტორიტეტი და გავლენა გაიზარდა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ტფილისში თავისი კომისარიატი შექმნა, მაგრამ მის გვერდით არსებობდა ეს პარტიათა კომიტეტი, რომელიც ფაქტიურად უფრო ძლიერი იყო. 1917 წ. ნოემბერში კომიტეტმა მოიწვია მთელ საქართველოდან პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიური, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომლებმაც აირჩიეს ეროვნული საბჭო ქართველი ერის ინტერესების დასაცავად. 1917 წ. მარტში ქართველ სამღვდელოებამ და მორწმუნეთ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის ჩამოშორება რუსეთისაგან და მისი ავტოკეფალიის აღდგენა. 1918 წ. იანვარში კერძო ინიციატივით პროფ. ჯავახიშვილის მეთაურობით დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც შემდეგ გადაიქცა სახელმწიფო უნივერსიტეტად.

ეროვნული საბჭო თანდათან გახდა ნამდვილი ბატონ-პატრონი საქართველოსი, და როგორც კი დადგა შესაფერი დრო, მან გადადგა ისტორიული ნაბიჯი და 1918 წ. 26 მაისს ნ. ქორდანის თავმჯდომარეობით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღდგენა, რაიც რამდენისამე თვის შემდეგ ერთნმად იქნა დადასტურებული საყოველთაო არჩევნებით მოწვეულ დამფუძნებელ კრების მიერ. შესრულდა კარნახი ქართველი ერის გრძელი და გმირული ისტორიისა. ამ ისტორიის გაცნობა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ 26 მაისის აქტი, მინივე შემწეობით მიხვდებით და გავიგებთ, რაც მოხდა შემდეგ, რაც ხდებდა დღეს; ქართველი ერი არასოდეს, არავის დაუთმობს თავის თავისუფლებას.

უცხოეთის მიმოხილვა.

კონკრეტების წინ.

სარეპარაციო ღონისძიებების განხორციელების უწყვეტობა—ამ ორი დიდი კონფერენციის მოლოდინში ცხოვრობდა ევროპა, ევროპა იქ გადაწყდებოდა მისი ბედი. ან უკეთ—მაღალმოს დასდებდნენ მის ტკივილებს, განკურნავდნენ იარებს. რას ვხედავთ დღეს? კონფერენციები ჯერ არ გახსნილა და იმედები კი სადღაც გაქრნენ, კიდევ მეტი—კარგს არავინ მოელის მათგან, გულში იმასაც კი ამბობენ, ნეტავი სულაც არ მოგვეწყვია, გავვიუარესებ მდგომარეობას.

უწინარეს ყოვლისა, შეხეთ რა პირობებში უნდა გაიხსნას კონფერენციები. გერმანიაში მარტში პრეზიდენტის, მაისში პრუსიის ლანდტაგის არჩევნები გადასწყვეტს ვაიმარის კონსტიტუციის ბედს; საფრანგეთში მაისში პალატის არჩევნები მსჯავრს დასდებს დღევანდელ უმრავლესობას; ინგლისში თემთა პალატაში კონსერვატორების სრული ბატონობა, ხოლო მთავრობაში «ეროვნული კოალიცია», რომელიც არც წყალია, არც ღვინო, რა სურს კაცმა არ იცის. ეს სამი ქვეყანა იმავე დროს სწყვეტს ყველაფერს ევროპაში, მაგრამ როგორ, როცა თავისას არაფერი გადაუწყვეტია?

ახლა დაუმატეთ ამას ამერიკის «ვეტო» ვალების საკითხში. გაიხსენათ, პრეზიდენტ ჰუვერმა წინადადება მისცა კონგრესს ვალების გადასინჯავი კომისია დაენიშნოთ და ცივი, კატეგორული უარი მიიღო. სარეპარაციო კითხვა კი ამით გადაუჭრელი რჩება. საფრანგეთი-ინგლისი მზათ იყვენ ეპატივებით გერმანიისთვის სწორეთ იმდენი, რამდენსაც ამერიკა აპატიებდა მათ; თუ არ გვაპატიებ, მაშ ჩვენც არ ვაპატიებთ.

გამოდის, ამ რიგათ, გერმანია უნდა შეუდგეს გადახდას პირველ ივლისიდან, ე. ი. როცა ჰუვერის მორატორუმი ამოიწურება. საფრანგეთი ეცადა კიდევ ერთი წლით გაეგრძელებინათ მორატორუმი, ამერიკამ უარი სთქვა, ამით ლავალ-ჰუვერის სახეიმი დეკლარაცია წყალში ჩავარდა.

საქმის ასე დატრიალებამ და ხუთ მილიონ უმუშევარმა ისე გააძლიერა პიტლერი, რომ მან უკვე დესპანების ზნაუნა დაიწყო უცხო სამეფოთა კარებზე. კანტლერი ბრიუნინგმა ერთი შეუყვირა მას—ეს ის დრო იყო, როცა ამერიკის ახრი კიდევ არ იცოდნენ—მაგრამ ჩქარა შეატყო, რომ ამით ფონს ვერ გავიდოდა. ხალხის უკმაყოფილება მატულობს. პიტლერი ტანტიდან გადმობრძანებით ექადის და ბრიუნინგსაც სხვა არ დარჩენია რა, გარდა იმავე დემოკრატიისთვის მიმართვისა: ერთ მშვენიერ დღეს აცხადებს: რეპარაციას ვერც დღეს, ვერც შემდეგ გადავიხდით!

მაშინვე გაიხსენეს ბეთმან პოლვევის «ნაფლეთი ქალაქი», პავისის შარშანდელ ხელშეკრულებას იმსვენე ეძახის ბრიუნინგო—მორთეს ყვირი რუინის აქეთ, ლამანშის იქეთ და ვინ იცის კიდევ სად.

ინგლისი და საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებენ წინასწარი შეთანხმებისთვის, ვერ გაათავეს კონფერენცია კი 25 იანვარისთვის იყო დანიშნული,

გადასდეს ცოტა ხნით. რა გამოვა? გერმანია მოითხოვს საბოლოო გადაწყვეტილებას რეპარაციაზე, უფრო სწორათ—მის ლიკვიდაციას, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა მევალენი ამაზე ვერ წავლენ უქველათ და ალბათ რამე დროებით ზომებზე შეჩერდებიან, სანამ ამერიკა მორბილდებოდეს—იქაც მოხდება გაისათ პრეზიდენტის არჩევნები!

არის ერთი საშუალება ამერიკის «მოსარბილებლათ»—ეს შეიარაღების შემცირება. მილიარდებს ყრიან შეიარაღებაში და ჩვენგან ვალის პატიებას მოითხოვენ—გაიძახიან ამერიკაში. ის თვითონ აგზავნის დღევანდელს ქვეყანაში სტიმისონის მეთაურობით. როგორი პირი უნანს განიარაღების კონფერენციას? ძალიან ცუდი! აქაც დაპირდაპირებულია საფრანგეთის და გერმანიის პოზიციები. საფრანგეთი ამბობს: ჯერ უზრუნველვეთ მშვიდობიანობა, შემდეგ განიარაღებო: გერმანია უპასუხებს: ჯერ განვიარაღდეთ, ამით მშვიდობიანობას უზრუნველვეთ. საფრანგეთს მხარს უჭერენ პატარა სახელმწიფოები, გერმანიას—დიდი, და... ინტერნაციონალიც.

კითხვა არა სდგას, რა თქმა უნდა, მთლათ განიარაღებაზე—ეს მოსკოვის დემოკრატია არის—, კითხვაა შეიარაღების შემცირებაზე, გერმანიის განმარტებით—თანასწორობაზე. წავლენ ამაზე გამარჯვებული სახელმწიფოები? არა ალბათ, თუმცა ზოგიერთი, მაგ., იტალია გაიძახის წავალ; მოსკოვიც, სიტყვით, რა თქმა უნდა.

საფრანგეთი არ დასთმობს და ამის საბუთი კიდევ მისცა მსოფლიოს: ბრიანი განათავისუფლა საგარეო საქმეთა მინისტრობისგან. ეს ფაქტი ისე გაიგეს ყველგან, ვითომ საფრანგეთი ომის გუნებაზეა ეს ტყუილია. მასზე უფრო არავის უყვარს მშვიდობიანობა, მაგრამ რა ჰქნას, თუ ომის საშიშროება არაა გამქრალი, განიარაღებული როგორ დაიცავს თავს?

როგორც ხედავთ, დიდია წინამდებობა ახრთა, მისწრაფებათა, და თვითუფი გამოდის თავის ეროვნულ ინტერესებიდან, რომელიც უმეტეს შემთხვევაში საშარტლიანია. ვერ გამოუნახავთ ისეთი მოდუსი, რომელიც ათანხმედეს საერთაშორისო და ეროვნულ ინტერესებს. ასეთი ორგანო თითქოს კიდევ შექმნეს—ჩვენ სახეში გვაქვს ევროპის ფედერაცია, რომლის აღმასრულებელი, მუდმივი კომისია და ექვემდებარებული თითქო გულდადებით მუშაობდნენ, და ამ წლის დასაწყისს უნდა მომხდარიყო მორიგი ყრილობა. მაგრამ როგორ და რანაირათ, როცა მისი სულის ჩამდგმელი და თავმჯდომარე ბრიანი უეცრათ «ავათ ვახდა»? ჯერ სანამ მინისტრობას დაანებებდა თავს, ის სწერს ქვენევას, ევროპის კომისია გადაიდოსო, გადასდეს კიდევ და არ იციან, როდის შეიკრიბება...

სამაგიეროთ ერთა ლიგის საბჭო გაიხსნა და საფრანგეთიდან სოცილისტ. პარტიიდან ახლად გასული სენატორი პოლბონკუერი გაიგზავნა. შესძლებს ეს გამოალვიძოს მიიხიებული საქმე? საუკეთესო, თუმცა ნიჭი და უნარი არ აკლია; საქმე იმაშია, რომ მისთვის ასეთი რამ არ დაუბარებიათ პარიზიდან. მაშ რაზე იმსჯელებენ? მანჯურიაზე!

«დამოუკიდებელი» მანჯურია.

პროცესი მანჯურიის გადაყვანის კიდევ გრძელდება, ერთა ლიგის საბჭო ცდილობს რაც ძალი და ღონე აქვს გადაარჩინოს იგი იაპონიის ხახიდან! ტყუილია ჰგონიათ, რომ საბჭოს არაფერი გაუქვთებია. თუ არა ის, «პროცესი» უკვე დასრულებული იქნებოდა. რა თქმა უნდა, დიდ სახელმწიფოებს არ სცალიათ, ბევრი სხვა თავსამტვრევი საქმე აქვთ, საბჭოს ზომებიც ამიტომ პალიატური. მიუხედავად ამისა, იაპონია ანგარიშს უწევს მათ. ცდილობს თავის დამპყრობ პოლიტიკას ერთგვარი ლეგალიზების ხასიათი მისცეს. ეს მან სცადა უკანასკნელათ, როცა ამერიკის მკაცრ ნოტას პასუხი მისცა: მე არ მივსდევ ტერიტორიალურ გაფართოებას, არც ღია კარების და თანასწორობის გაუქმებას ყველა სახელმწიფოების საქონლისთვის. არც 1922 წლის შეთანხმებას ვერჩი ჩინეთის ტერიტორიალურ ხელშეწყობის შესახებ.

მას ყველაფერი თავის რიგზე ყოფილა! არა, ცხადია, და ამას გამოარკვევს საერთაშორისო საანკეტო კომისია, რომელიც საბჭომ შექმნა ორივე მხარის თანხმობით. კომისია ჯერ არ გამგზავრებულა, სანამ ჩავა. შეიძლება «პროცესი» დასრულებული დახვდეს, მაგრამ იაპონელნიც საქმათ გაქნილნი არიან, რომ მას ფორმალურათ ლეგალური გამოხატულება მისცენ.

ესაა მანჯურიის და შიდა მონღოლიის დამოუკიდებლად გამოცხადება! ხელზე დაიხვეწენ. რა თქმა უნდა, ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ვილსონის პრინციპს, არა ერთხელ გაბანებულს, არა მარტო მოსკოვის მიერ. მანჯურია სივრცით თითქმის დასავლეთ ვერპას უდრის, სიმდიდრე მისი აურაცხელია. მოსახლეობა ოც მილიონამდე... რატომ არ უნდა გახდეს დამოუკიდებელი—იტყვის პროტექტორი იაპონია. რას იტყვიან სხვები, დიდი სახელმწიფოები, წინდაწინ ძნელია გამოცნობა, თუმცა ისიც უნდა იტყვას, რომ სიტყვა ერთია, საქმე სხვა,—ისინი ალბათ არ დაეთანხმებიან იაპონიას, მაგრამ თავის აზრის გატარებას პრაქტიკულათ ან უკეთ—შეიარაღებული ძალით მოერიდებიან.

ასე იქნება საბჭოთა მხრიდანაც, თუმცა არავინ ისე დაინტერესებული არაა. «დამოუკიდებელ» მანჯურიაში შევა, რასაკვირველია, ჩრდილოეთი ნაწილიც, სადაც ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაა, მოსკოვთან სახიარო. იაპონია ეტყვის, მე რა შუაში ვარ, მანჯურია თვით ირკვევს თავს, როგორც საბჭოთა კავშირში გამოირკვევს ერებმა თავიო!

ამასაც თუ დააჯერეს, კარგია. იაპონია იყურება საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის მფლობელობისკენ და ამ შემთხვევაში იყენებს... რუსებს. ის უკვე ეარშიყება თეთრ რუსებს ხარბინში, უკანასკნელნი ირანზეებიან «ბუფერ» სახელმწიფოს შესაქმნელათ მანჯურიასა და საბჭოთა კავშირს შორის, ახმაურდა შემარჯვენე ემიგრაცია ვერპაში და სხ.

ამეებზე მოვასწრებთ წერას, დაუტყდათ ამბების განვითარებას. არაფერი გვითქვამს თვით ჩინეთზე, როგორ შეხვდება ის მანჯურიის დაკარგვას? მტრულათ, ეს კიდევ აჩვენა მან ქვეყნიერებას. მისი

პროტესტები ერთა ლიგის, სახელმწიფოთა მიმართ მრავალია; შიგნით ბოიკოტი აქვს გამოცხადებული იაპონიის საქონელს; ხალხი ეწევა პარტიზანულ ბრძოლებს; ნანკინი და კანტონი თითქო შეთანხმდენ, შექმნეს საერთო ფრონტი და სხ. ყველა ეს ჯერ შეიძლება არ იყოს დიდათ საშიში იაპონიისთვის, მაგრამ გაივლის დრო და ისიც იგრძნობს, ნახევარი მილიარდი ხალხის გადაყლაპვა არც ისე ადვილია, კისერში გაერქობა...

დიდი დემონსტრაცია

დიდი დემონსტრაციის მოწამე გახდა ქართველთა კოლონია და მისი კომიტეტი პოლონეთში მიმდინარე წლის 9 იანვარს. ამ დღეს გაიმართა ქალაქ ვარშავის თვითმართველობის დარბაზებში კომიტეტის მიერ მოწყობილი ტრადიციული ქართული რაუტ-ბალი. მას სათანადო მზადება უსწრებდა წინ. უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილი საკმაო პესიმიზმით იყვნენ შეპყრობილნი და წყოს დამაპყოფილებელ შედეგებს არ მოელოდნენ. სხვა მიზეზთან ერთად უმთავრესი ამ პესიმიზმისა აქ გამეფებული უკიდურესი ეკონომიური კრიზისი იყო. ასეთ პირობებში ბალისთვის ვის ცხელა. ამიტომაც ბილეთების ფასი წყოს შარშანდელთან შედარებით ნაკლები იყო.

ხოლო როცა ბალამდე ერთი თვით ადრე მთელი ვარშავის პრესა განურჩევლათ პოლიტ. მიმდინარეობისა ალაპარაკდა ქართულ ბალზე, თანდათან პესიმიზმმა ადგილი დაუთმო ოპტიმიზმს. უკანასკნელ დღეებში პრესა ერთხმათ გაიძახოდა: «საქართველოს მეგობრები ახალ წელს შეხვდებიან ქართველებს მათ ტრადიციულ რაუტ-ბალზე 9 იანვარს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში», — «კარნავალი გაიხსნება ქართული ბალით, საქართველოს მეგობრები ამ ბალზე შეხვდებით ერთმანეთსო და სხვ.

ჯერ კიდევ 11 საათი არ შესრულებულიყო (ბალი 11 საათზე უნდა გახსნილიყო), რომ დარბაზები გაიჭედა ხალხით. სტუმართა რიცხვი აღწევდა 1800 სულს: სამინისტროების წარმომადგენელნი, მინისტრების მოადგილენი, სამხედრო შტაბის უფროსი, გენერალიტეტი და საზოგადოთ მხედრობა, პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი წრეები; პრესის და საელოთა წარმომადგენელნი და სხვა და სხვა,—აი ვინ ამშვენებდა ჩვენს ბალს.

დაწერილებით ანგარიშებს ჯერ ვერ შევეხებით, რადგანაც ეს ანგარიშები არ არის დასრულებული. ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ქართული ბალი ასე გამარჯვებული პოლიტიკურათ, ორგანიზაციულათ და მატერიალურათ ჯერ აქ არ მოგვსწრია. უკვე ქართული კომიტეტის მიერ გაცემული დანმარებანი (ადგილობრივათ თუ პარიზში გადასაგზავნათ) აღწევს 4.500 ზლოტამდე (13.000 ფრ. მეტს).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბნ გოგი ჭიჭინაძის როლი ამ გამარჯვებაში. იგი უსასყიდლოთ გვესტუმრა პარიზიდან, თეთრ ჩოხა-ახალოზში გამოკვეთილი მისი მოხდენილი—ქართველური ტანადობა და სილამაზე ქართული ტემპერამენტით თამაშებულ ლეკურში რალაც სახლპარამ დარჩა პოლონეთის



საზოგადოებისათვის. განუწყვეტელი ოვაციები და his ი... მისი სურათები სათანადო ხოტბით მოეფინა ვარშავის განეთებს. დღემდე გვეკითხებიან, თუ საიდან მოფრინდა ან საით გაფრინდაო. მაღლობა ჩვენს საფოროს მდივანს პარიზში ბ-ნ ასათიანს, რომელმაც ხელი შეუწყო საღამოს ასე კარგად ჩატარებას.

ბალი დილის შვიდ საათზე უნდა დაშლილიყო, ძლივს დაიშალა და ისიც იძულებით 9 საათზე.

საერთოდ უნდა ითქვას: აქ ან არ იმართება ბალები ან თუ იმართება, დამწრე საზოგადოება 500 სულს არ აღემატება. ჩვენი ბალი კი ასეთ დიდ დემონსტრაციით გადაიქცა.

პოლონეთის ერის ქართველი ერისადმი ამ უაღრეს სიმპატიას ვერავითარი «პაქტი» ვერ წაშლის. ეს გაისმოდა საზოგადოებაში, ამას ამხელდენ პოლიტიკური თუ სხვა წრეები.

კახაბერი.

წერილი ვარშავიდან

განსვენებულ ნოე რამიშვილის მოკვლის წლის თავი აღნიშნულ იქმნა პოლონეთში 8 დეკემბერს საეკლესიო პანაშვილის გადახდით.

წინასწარ ვარშავის თითქმის ყველა განეთებში მოთავსებული იყო წერილები და განცხადებები ნოე რამიშვილის შესახებ. რომლებიც მოუწოდებდნენ საქართველოს მეგობრებს, პანაშვიდზე დასწრებით პატივი ეცათ საქართველოს ეროვნულ მთავრობის მინისტრის ტრადიკულად დაღუპულის ნოე რამიშვილის ხსოვნისათვის. დანიშნულ დროზე ვარშავის უდიდესი კათოლიკური ეკლესია ხალხით გაუძლიო იყო და ყველას ფიქრები საქართველოს თავდადებულ მებრძოლის ხსოვნას თავს დასტრიალებდა.

გარდა პოლონეთის საზოგადოებისა პანაშვილს დაესწრენ უკრაინელები, თათრები, კავკასიის ყველა ერები. ქართველები კი ვით ერთი კაცი უკლებლივ იყვნენ წარმოდგენილნი.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე საზოგადოება «პრომეთეს» დარბაზში გაიმართა საამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად. პირველად ილაპარაკა «პრომეთეს» საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა სმალსტოცკიმ რომელმაც აღნიშნა ნოე რამიშვილის დამსახურება დაჩაგრულ ერთა წინაშე და ხაზი გაუსვა იმას, რომ ნოე რამიშვიალი იყო ბოლშევიზმის დაუძინარი მტერი და ყველა ჩაგრულ ერთა მოამაგე. პოლონელების სახელით სიტყვა წარმოსთქვა აღმოსავლეთ ინსტიტუტის თავმჯდომარემ სენატორმა სტ. სიედლიცკიმ, რომელმაც თბილი სიტყვებით მოიგონა პირველი შეხვედრა ნოე რამიშვილთან ვარშავაში და დაუფიქარი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მასზე დიდი მებრძოლის პიროვნებაში.

განსაკუთრებით მხურვალე და შინაარსიანი იყო სიტყვები აზერბეიჯანის წარმომადგენლის ბ. ემინბეი რასულ ზადესი და კავკასიელ მთიელთა სახელით ბ. გირსკის. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ ნოე რამიშვილი იყო ემბლემა და სიმბოლო კავკასიის

მთლიანობისა, სულის ჩამდგმელი მთელი ანტისაბჭოთა მოძრაობა ბრძოლისა.

ილაპარაკეს აგრეთვე იდელ—ურალის, თურქესტანის და დონის და ყუბანის წარმომადგენლებმა, რომლებიც აღთქმას სდებდენ, რომ თავის ბრძოლას მომავალშიაც დაუკავშირებენ საქართველოს ბრძოლას. უკრაინელთა ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. კოვალსკი ვრცლათ შეეხო ნოე რამიშვილის პიროვნებას და თქვა, რომ პეტლიურა და რამიშვილი იყვნენ და იქნებიან სამუდამოდ მთელი უკრაინის ხალხის გულში დაუფიქარი.

დასასარულ მეტად მგრძნობიერე და შინაარსიანი სიტყვა ქართველების სახელით წარმოსთქვა ბ. ს. მდივანმა. მან აღნიშნა, თუ რას წარმოადგენდა ნ. რამიშვილი საქართველოს ხალხისათვის და მის გამოათვისუფლებელ ბრძოლისათვის, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკებს მისი მოკვლით სურდათ ლახვარი ჩაესოთ საქართველოს ბრძოლისათვის. მაგრამ წინამდებ მოლოდინისა ქართველი ერი არ უშინდება არავითარ მსხვერპლს და სისხლის გაღებას, ის კავკასიის ყველა ერებთან ერთად აწარმოებს გამართულ ბრძოლას და არ შესწვეტს, სანამ არ დაამხოვს მონობის სამყაროს ბოლშევიკებისას.

სამოქალაქო პანაშვიდს გარდა ჩაგრულ ერების წარმომადგენლებისა, მრავლად დაესწრენ პოლონელ საზოგადოებისა და დაწესებულებათა წევრები.

დასსწრე.

ქართველები ბერლინში

კვირას, 13 დეკემბერს, ვერაგულად მოკლულ საქართველოს მთავრობის წევრის ნ. რამიშვილის სახსოვრად ბერლინის ქართველთა კოლონიის გამგეობამ გამართა სამგლოვიარო კრება.

კრება ვახსნა კოლონიის თავმჯდომარემ ბ. ს. გეგლაშვილმა შესავალ სიტყვით, რომელშიდაც მან დაახასიათა განსვენებულის, როგორც სპეტაკი პიროვნება და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე.

ბერლინის ს. დ. ორგანიზაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მ. წულუკიძემ. ის შეეხო ნ. რამიშვილს, როგორც მწერალს, ორგანიზატორს, საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო მუშაკს, რომლითაც ს. დ. პარტიას სრული უფლება აქვს იამაყოს. ამის შემდეგ ილაპარაკა გეოლა-გელაზანიამ. მან აღნიშნა ის თავუფიყარი ღვაწლი, რომელიც განსვენებულმა თავისი თავდადებულ მუშაობით ქართველ ერს და ს. დ. პარტიას დასდო. ერ. რამიშვილმა წაიკითხა განსვენებულზე ვრცელი მოგონება. მოკლე სიტყვით მიმართა კრებას აგრეთვე რ. მკურნალმა.

— ნემბერში მოხდა ბერლინის ქართველ საზოგადოების წლიური კრება. გამგეობისა (მისი ორი წლის მუშაობის შესახებ) და სარევიზიო კომ. მოხსენების შემდეგ, კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობას და აიჩინა მისი ახალი შემადგენლობა. არჩეულ იქნენ: თავმ. ს. გეგლაშვილი, წევრებათ: რ. მკურნალი, ა. კორძაია, მ. წულუკიძე და გ. გელაზანია.

დაიბეჭდა და გამოვა გახაყიდად 15 თებერვლისთვის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდან 26 მაისამდე.

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შ. რუსთველის და ერეკლე მეორის პორტრეტებით.

გამოცემა «დამღუკიდებელ საქართველოში».

ფასი ხუთი ფრანკი.

«დამ. საქართველოს» წლიური ხელისმომწერი, რომელიც თებერვლის ბოლომდის მთლიანად გადაიხდის წლის ფასს, «საქართველოს ისტორიას» მიიღებს უფასოთ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(ქუთნალ-გაზეთებიდან)

27 დეკემბერს ტფილისში გარდაიცვალა 77 წლის ძველი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე.

— 17 დეკემბერს ერევნის თეატრში სომხურად წარმოდგინეს კ. კალაძის პიესა «ხატიჯე».

— დამტკიცდა საქ. ეკონომიური საბჭოს შემდეგი შემადგენლობა: თავმჯ. მგალობლიშვილი, მისი მოადგილეები: გოგია, ტორაშელიძე, მზარეულაშვილი; წევრები—მათიკაშვილი, ვაშაძე, ბ. მდივანი და სხვ.

— კ. გამსახურდიამ და კ. ჭიჭინაძემ ლექსად გადმოთარგმნეს დასტეს «ღვთაებრივი კომედიის» პირველი ნაწილი: «ჯოჯოხეთი».

— გამოვიდა რუსული და ფრანგული წარწერებით ტიმაჩევსკის წიგნი «ძველი საქართველოს ფრესკები».

— 10 დეკემბერს დაიწვა ტფილისში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, დაიღუპა 40 ათასი წიგნი.

— ამ. კავკასიაში შემოდგომაზე დაითესა გეგმით გათვალისწინებული ფართობის 48,6 პროც.—საბჭოთა მეურნეობაში დაითესა გეგმის 28 პროც., კოლმეურნეობაში 42 და ინდივიდუალურ მეურნეობაში 56. კერძოთ აზერბეიჯანში თესვის გეგმა შესრულდა 46 პროცენტით, საქართ.—48 და სომხეთში 70. უკანასკნელ შემოდგომაზე წინანდელთან შედარებით მთელ ამ. კავკასიაში დაითესა 57 პროცენტი.

— ტფილისში შემოიღეს ავტობუსების მიმოსვლა თავისუფლების მოედნიდან სადგურამდე, ფასი 50 კაპ.

— ბ. ჭიჭინაძე დაინიშნა ა. კ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

— დაინიშნა ხუთი ბრიგადა, რომელთაც დაევალია გადასინჯონ ყველა ისტორიული ხასიათის წიგნები, როგორც კომუნისტების ისე არაკომუნისტების დაწერილი და გამოცემული ბოლშევიკების შემოსვლის დღიდან, და აღმოაჩინონ, თუ რაზე გადახრები დაშვებული (სტალინის წერილის მიხედვით).

— ტფილისის ტრამვაიზე მეტისმეტი უწყისრიგობა დამყარდა და დიდს უკმაყოფილებას იწვევს.

წიგნილი კოლაქციის მიხარბი

ბატონო რედაქტორო,

ვთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთის მომავალ ნომერში შემდეგი ცნობა: პარიზში დაარსდა, კერძო ინიციატივით, ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტი. ეს კომიტეტი იმყოფება ქართულ ასოციაციის მფარველობის ქვეშ. შემადგენლობა ამ კომიტეტისა შემდეგია:

ქნები: ე. აფხაზისა, კოკესი, ჰელმისა და ე. მამულაიშვილის ასული. და ბ. ბ.: მამა ვრ. ფერაძე, პ. თუმანიშვილი, ა. ერისთავი, ივ. ჭავჭავანიძე, ილ. დიმიშელიანი და ლ. ზურაბიშვილი.

ფებსში მდგომნი: ბ. ალ. ასათიანი, ქ. ნი ბ. ერისთავის ასული და ბ. ლ. ხიტარაშვილი.

ვთხოვთ ყველა უმუშევრებს პირადად გამოცხადდნენ რეგისტრაციისთვის საანკეტო ფურცლის შესავსებლად: ლეგაციაში (სადაც მათ დახვდებიან კომიტეტის წევრები) ორშაბათობით და ხუთშაბათობით 5—6 საათამდე. პარასკეობით 5—7 საათამდე, ან ქართულ სამოციხეველოში: 5, Villa d'Orléans. მეტრო Alesia. ყოველ საღამოს 8—10 საათამდე.

გთხოვთ აგრეთვე დაბეჭდოთ შემომწირველთა პირველი სია: ა. ჩხენკელი 25 ფრ., ევ. გიგუქკორი 25, კ. ჯაყელი 50, კ. კანდელაკი 10, ნ. ცინცაძე 50, ივ. ზურაბიშვილი 10, შ. აბდუშელიშვილი 10, ალ. ასათიანი 10, ივ. ჭავჭავანიძე 10, კ. გვარჯალაძე 15, ზ. ჩიჩუა 5, კ. საბახტარაშვილი 15, M-me de Véverac 100, M-elle Dueroq 100, M me Dueroq 100, M me Davy 100, M-elle carton 100 ფრ. სულ 735 ფრ.

ყოველი შემოწირულობა ქართველ უმუშევართათვის უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით:

M Paul Toumanichvili, 21, rue La Fontaine, Paris, 16



ქართველ მოზობელთა საზოგადოებო!

ა. წ. თებერვლის 4-ს ქართული ბიბლიოთეკის შენობაში (5, Villa d'Orléans, მეტრო Alesia) ნაშუადღსრულ 5 ნახ. ს. ქართველ ბავშვებს დაწვევბათ მეცადინეობა ქართულ ენაში, სრულიათ უსასყიდლოთ.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ: ხუთშაბათობით 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

კვირაობით 4 საათ. 5 საათამდე. მეცადინეობას ხელმძღვანელ. დ. ხარისჭირამიკილი.

მოწაფეთა წინასწარი ჩაწერა შეიძლება—ბიბლიოთეკაში ყოველ დღე საღ. 8 საათიდან 10 საათამდე.



გ ა ნ ც ს ა ღ ე ბ ა.

საქიროა ბიბლიოგრაფიული მიზნისთვის და ვიცა მოვება ვთხოვთ მოკლე ვადით გადმოგვიგზავნოს «დამ. საქართ.» რედაქციის მისამართით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საზღვარგარედ გამოცემული ჟურნალი «საქართველო»-ს №-ები (სახურველია სრული კომპლექტი) და ასეთივე გაზ. «თავისუფალი საქართველო»-ს, რომელიც საზღვარ-გარედ გამოდიოდა პეტ. სურგულაძის რედაქტორობით.

გაზეთებს მადლობით უკანვე დავაბრუნებთ. ნ. ჩიჩუა.